პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 15 ოქტომბერი № 243 (16673) ფასი 2 კაპ. 1976

ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს

თბილისი. დამკვრელურად შრომობენ მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს დედაქალაქის ლენინის სახელობის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. ასინი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას — არცერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით! და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

როგორც ცნობილია, ლენინის რაიონის მრეწველებმა ამ ერთი თვის წინათ გაადიდა წლის დასაწყისში ნაკისრი ვალდებულება და 12,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება იკისრა.

როგორია ცხრა თვის შედეგები? ამ გაზრდილი ვალდებულების ანგარიშში უკვე დამზადებულია 8.914 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, აქედან 3.493 ათასი მანეთისა მეხამე კვარტალზე მოდის.

წლის მეოთხე გადამწყვეტ კვარტალში რაიონის მრეწველობას დაკაბული მუშაობა მოელის. აღებული ტემპი აუცილებლად უნდა დაჩქარდეს, რომ დარჩენილი ვალდებულებაც პირნათლად შესრულდეს.

სწორედ ამიტომაც არის, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახლა საოქტომბრო ვახტზე დგანან, წლის ბოლომდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადეს. ვიზრომოთ ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს! — ასეთია მათი დევიზი.

შორს როდია ზამთარი

ახლა შემოდგომის მეორე თვეა და ზამთარი, რომ იტყვიან, ცხრა მთას იქით კი არა, ლამის კარს მოგვდგომია და უკვე გვაგრძნობინებს თავს. სწორედ ამიტომაც უნდა დავიჭიროთ თადარიგი და გულმოდგინედ ვემზადოთ ზამთრისთვის.

წლევანდელი ზამთრისათვის მზადება უნდა წარვმართოთ ჩვენი ხალხის იმ დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიულმა დადგენილებამ გამოიწვია. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დადგენილება, რომელშიც ესოდენ მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობას, უდიდეს სამეურნეო და მორალურ ამოცანებს გვაკისრებს. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ამ მაღალი შეფასების დონეზე ვიყოთ.

ჩვენი ქალაქების, დაბების, რაიონული ცენტრების, სოფლების, საბჭოების, საწარმოებისა და მშენებლობების, საბინაო-კომუნალური სამსახურების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის კოლექტივების ხელმძღვანელები ახლა ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა ზამთრის სიცივეებმა ხელი ვერ შეუშალოს სახალხო მეურნეობის განვითარებას, ვერ შეაფერხოს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის შემართული მოღვაწეობა და ბრძოლა. მოსახლეობის ნორმალური მომარაგების, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. და ცხადია, ადგილობრივი ორგანოების მუშაობის რიტმულობასა და სიზუსტეზე უშუალოდ არის დამოკიდებული ასეთასხობით ადამიანის ნაყოფიერი შრომისა და სრულფასოვანი დასვენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. მით უფრო საჭიროა ყოველივე ეს ზამთრის პერიოდში, რომელსაც დამატებითი სიძნელეები და საზრუნავი ახლავს ხოლმე.

წასული წლების მკაცრი გამოცდილებიდან ვიცით, რა უხიამოვნება მიაყენა მშრომელებს საერთო უდარდელობამ და უყაირათობამ, შესაბამისი მეურნეობების სამეურნეოებამ და მოუმზადებლობამ, რასაც ხშირად ვაწყდებოდით, მეტადრე სიცივეების დადგომისას. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი რადიკალური ცვლილებები მოხდა ამ მხრივ. ახლა გაბედულად მოქმედებენ, ფხიზლობენ და ზამთრისათვის მზადების საქმეში საქმიან თადარიგიანობას იჩენენ ჩვენი სამრეწველო, სასოფლო ცენტრების, მთისა და სუბტროპიკული რაიონების მუშები და კოლმეურნეები, მეცხოველეები და პირუტყვისათვის საკვების დამამზადებლები, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი.

ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, თუ რა გამბედაობა და მამაცობა გამოიჩინეს გასულ ზამთარში რესპუბლიკის მთის რაიონების — მეხეთის, ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, სამხრეთ ოსეთის, დუშეთის და სხვა რაიონებისა და სოფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, კომუნისტებმა, ცალკეულმა ადამიანებმა, როცა მკაცრმა ამინდებმა უდიდესი სიძნელეები შეუქმნა მათს ნორმალურ ცხოვრებას. ისიც საგულისხმოა, თუ როგორ იზრუნეს და რა ამაგი დასდეს რესპუბლიკურმა ორგანოებმა არა მარტო სახალხო მეურნეობის დარგებს, არამედ ცალკეულ ოჯახებს, სამუშაო უბნებზე მყოფ ადამიანებს, ბუნებას, ჩვენს ფლორასა და ფაუნას.

და განა გასაკვირია ყოველივე ეს? ჩვენი ლენინური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, საზოგადოებრიობა უფრთხილდება და გულმხურვალეს იჩენენ ყველაზე ძვირფასი კაპიტალისადმი — ადამიანისადმი, ზრუნავენ და ფაქიზად უვლიან მატერიალურ დოვლათს, გარემოს, ხალხის სიმდიდრეს. ეს სოციალისტური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანთვისებაა, რომელიც უფრო მეტად და მეტად იგრძნობა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-მორალური კლიმატის გაჯანსაღების რთულსა და უაღრესად დიდმნიშვნელოვან პროცესში.

ცხადია, ზამთრისათვის მზადების სამუშაოები უპირველესად ეხება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობასა და შეკეთებას, თბომეურნეობების, ტრანსპორტის, წყალგაყვანილობის, საავარიო და საწმენდი ტექნიკის გამართულობას, პირუტყვისათვის საკვების დამზადებას მეცხოველეობის ფერმებში, სოფლის ცხოვრების ცალკეულ უბნებზე მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას. მაშველი სამსახურების შეუფერხებელ საქმიანობას. ეროი სიტყვით, საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ დროზე მოგვარდეს ყველა სამუშაო, რაც ზამთრისათვის მზადების და თვით ზამთარში ჩვენი ხალხის მეუდრო. უშფოთველ ცხოვრების პირობებს შექმნის, სახალხო მეურნეობის რიტმულ მუშაობას უზრუნველყოფს. მაგრამ რედაქციაში მოსული სიგნალები მოწმობს, რომ ზოგან გასული წლების შეცდომას არ ითვალისწინებენ და იმ საქმის მოსავგარებლად, რომელიც ახლა უნდა კეთდებოდეს, არ ზრუნავენ. მაგალითად, ცხინვალში მეთერთმეტე საშუალო სკოლისა და მის ახლომდებარე უბნების საქვაბის რეკონსტრუქცია ჯერაც არ დაუწყიათ, ხოლო ამ სამუშაოთა შესრულებას თვეები სჭირდება. არც ისაკის ქუჩაზე აგებულ საქვაბეს სწყალობს ბედი. იგი ჯერ კიდევ შარშან უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ მის დამთავრებას სამხრეთ ოსეთის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ სიშველი აღარ დააყენა.

ყველაზან და ყველაფერზი უნდა განმაკიცდეს სოციალისტური დისციპლინა, გაძლიერდეს საწარმოთა ხელმძღვანელების, მათი მოადგილეების კასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, იმ მეურნეობის აპკარგისანობისათვის, რომელსაც ესა თუ ის მუშაკი წარმართავს. — მკაცრად უნდა მოვკითხოთ ყველას, ვისი მოუვნელობით, უსულგულობით, სიბეცითა თუ ინერტიულობით სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანს ზიანი მოუვა, მშრომელთა ნორმალურ ცხოვრებას უსიამოვნო ჩრდილი მიადგება.

ზამთრისათვის ჩვენი მეურნეობის ყველა სამსახურის გამართულად მომზადებაში ხარვეზების აღმოფხვრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ყურადღებას გამოიჩენენ ამ საქმისადმი პარტიული ორგანიზაციები, საქალაქო და რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატები. მათი მოვალეობაა არ დასჯერდნენ პერიოდულ შემოწმებებს და სისტემატური, ყოველდღიური კონტროლი დაუწესონ სამუშაოთა ყოველ უბანს, ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას კომუნალური, სატრანსპორტო საწარმოების კოლექტივებში, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში. მაგრამ, როგორც ჩანს, ახეთი ყურადღება და კონტროლი არ იგრძნობა სარკინიგზო ჩიხში, რომელიც „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს ტექნიკური მომარაგების განყოფილებას ეკუთვნის. იგი დაზიანდა, ავარიულ მდგომარეობაშია, ეს კი ართულებს ზამთრისათვის განკუთვნილი ტვირთის შემოტანას.

ზამთრისათვის მზადება დიდი და სერიოზული საქმეა. ჩვენი რესპუბლიკის რელიეფი და კლიმატური პირობები უაღრესად რთულია და წელიწადის ყოველი დრო, განსაკუთრებით კი ზამთარი, მოულოდნელობით არის აღსავსე. მთასა თუ ბარში ამინდის ჭირვეულობა ზოგჯერ გაუთვალისწინებელ სირთულეებს უქმნის ჩვენს სახალხო მეურნეობას, ადგილობრივ ორგანიზაციებს, თვითეულ მშრომელს. სწორედ ამიტომ უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე, ნუ დაველოდებით ბუნების წყალობას, ვიშრომოთ და ვიმოქმედოთ ისე, რომ ბუნების მოვლენები ვერაფერს გვაკლებდეს, ზიანს და უსიამოვნებას ვერ გვაყენებდეს.

ამოცანა ის არის, რომ კასუხისმგებლობით მოვეკიდოთ, სიყვარული ჩავაქსოვოთ, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოვახმაროთ ხალხის საჭიროებას, კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მათი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ზამთარს შეეხვდეთ სრულიად მოგზადებული.

დიდი შრომითი გამარჯვება

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ გ. ა. ალიევს

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამხანაგ ქ. ა. ხალილოვს

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭო ამხანაგ ა. ი. იბრაგიმოვს

გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, გადამმუშავებელი მრეწველობის, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკებს, ყველა მშრომელს დიდ შრომითს გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის ბამბის, მარცვლეულის, ყურძნის, ბოსტნეულის, ხილის, ბაღჩეულისა და ჩაის ფოთლის მოყიდვის გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს მიღწეული სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედების პროდუქტების მოყიდვის რეკორდული მოცულობა აზერბაიჯანის მშრომელთა შესანიშნავი წვლილია XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში. ეს პარტიის აგრარული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მებრძოლური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

— დარწმუნებული ვარ, რომ სოფლის მშრომელები უფრო მეტი ენერგიით გააჩაღებენ ბრძოლას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, წარმატებით გადაწყვეტენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, სანიმუშოდ დაგემთავრებინთ სასოფლო-სამეურნეო წელი, კარგად მოგემზადებინოთ და დაგმთავრებინთ პირუტყვის გამოზამთრება, წარმატებით შეგესრულებინოთ ყველა გეგმა და ვალდებულება, რომლებიც სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა იკისრეს.

ლ. ბრეჟნევი

1976 წლის 14 ოქტომბერი

აზერბაიჯანელ მინათმოქმედთა დიდი წარმატება

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, კარგი მოსავალი მოიწიეს და შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის, ყურძნის, ხილის, ბაღჩეულის, ჩაის ფოთლის მოყიდვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. მნიშვნელოვანი გადაჭრებით შესრულდა მარცვლეულისა და ბოსტნეულის შესყიდვის ვალდებულებანი.

მიმღებ პუნქტებსა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს ჩააბარეს 503 ათასი ტონა ხამი ბამბა, 346 ათასი ტონა მარცვლეული, 694 ათასი ტონა ყურძენი, 75 ათასი ტონა ხილი, 580 ათასი ტონა ბოსტნეული, 23 ათასი ტონა ბაღჩეული და 13 ათას ტონაზე მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1976 წლისათვის დადგენილ შესყიდვის მოცულობას.

თავიანთ ვალდებულებებს წარმატებით გაართვეს თავი დამამზადებელი ორგანიზაციებისა და გადამმუშავებელი საწარმოების მუშაკებმა, რომლებმაც შეუფერხებლად მიიღეს მთელი პროდუქცია. მოსავლის აღებასა და გადაზიდვაში დიდი დახმარება გაუწიეს სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივებმა, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტებმა.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვა გრძელდება. დამატებით ჩააბარებენ სულ ცოტა 30 ათასი ტონა ხამ ბამბას.

ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა

ძვირფასო ანდრია პავლეს-ძე! ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ანდრია პავლეს-ძე კირილენკოს გადაეცემთ ლენინის ორდენს და მეორე ოქროს მედალს „ნამგალსა და ეროს“, რომლებითაც იგი დაჯილდოდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით.

ძვირფასო ანდრია პავლეს-ძე! ეფიქრობ, საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველანი, შენი ამხანაგები და მეგობრები ვიზიარებთ სიხარულს შენი მოღვაწეობის მაღალი შეფასების გამო, რომელიც მოცემულია ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში.

ეს შეფასება დაიმსახურე ყველა იმ პოსტზე თავდადებული შრომით, სადაც კი პარტია გგზავნიდა, რომელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული მთელი შენი შეგნებული ცხოვრება. მშრომელი ხალხის შვილი და პარტიის ერთგული ჯარისკაცი, შენ ყოველთვის მათთან ერთად იყავი, სძლევდი სიძნელეებს, იზიარებდი გამარჯვებების სიხარულს.

აი უკვე ოცი წელია ჩვენი პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარემ ნ. ვ. **პოდგორნიმ.**

ჯილდოს გადაცემისას დარბაზში იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. ფ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო.**

ჯილდოს გადაცემის დროს გამოვიდა ამხ. **ნ. ვ. პოდგორნი.**

ა. პ. კირილენკოს გამოსვლა

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე! ძვირფასო ნიკოლოზ ეიტორის-ძე!

ძვირფასო მეგობრებო!

ერთ თვეზე მეტი გავიდა, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა სასიხარულო მოვლენა, რომელმაც დიდად ამაღელვა.

ახლაც — ჯილდოს მიღების დღეს — მიჭირს აუღელვებლად გამოვთქვა ჩემი გრძნობები, რომლებსაც აქ, ჩემი მეგობრებისა და მუშაობაში თანამებრძოლების წრეში განვიცდი.

ჩემი იუბილეს დღეს დიდი სიხარულით შეეხვდი ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის გულთბილ, მეგობრულ და გულითად მისასალმებელ წერილს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ლენინის ორდენითა და მეორე ოქროს მედლით „ნამგალი და ეროთი“ ჩემი დაჯილდოების შესახებ.

(დასასრული მე-2 გვ.)

მოსკოვი. 14 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ა. პ. კირილენკოს გადაეცა ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის მეორე ოქროს მედალი „ნამგალი და ეროთ“. სურათზე: ჯილდოს გადაცემის დრო.

საკდესის ცნობა

გამვეგულია გეოფიზიკური რაკეტა

მეცნიერებიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად, 1976 წლის 14 ოქტომბერს მოსკოვის დროით 13 საათსა და 50 წუთზე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის შუა განედების ტერიტორიიდან 1512 კილომეტრ სიმაღლეზე გაშვებულია გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-4“.

გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-4“ განაგრძობს დედამიწის ატმოსფეროსა და იონოსფეროს, აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროსთან მზის მოკლეტალღიანი გამოსხივების ურთიერთმოქმედების კომპლექსურ კვლევას.

ხელსაწყოების კონტეინერში, რომელიც 173 კილომეტრ სიმაღლეზე გამოეყო რაკეტას, დადგმულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში დამზადებული სამეცნიერო აპარატურა.

„ვერტიკალ-4“ გეოფიზიკური რაკეტის ფრენის დროს დედამიწიდან გაზომეს იონოსფეროს სხვადასხვა პარამეტრები.

„ვერტიკალ-4“ რაკეტაზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის დამონტაჟებასა და გამოცდაში, აგრეთვე რაკეტის გაშვებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები.

ერთობლივი ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციები შეუდგნენ მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ჯანსაღი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია

საუმეოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადების მიმდინარეობა

(10 ოქტომბრისათვის ცენტნერობით)

რაიონები	გეგმა	გამოყოფილია	კონდიციური		პროცენტი
			ცენტნერი	პროცენტი	
ახალქალაქი	5700	5865	5865	103,0	90,8
ბოგდანოვკა	3600	4237	4207	117,0	35,1
ახალციხე	6060	6152	6152	102,5	87,2
ასპინძა	4500	4567	4567	101,5	80,8
ხაშური	11770	12550	12430	105,6	91,3
ქარელი	18980	19727	19727	106,7	92,7
გორი	19560	23785	23785	121,6	94,1
კასპი	15000	16341	16341	109,0	73,1
ბორჯომი	100	110	110	110,0	81,8
საგარეჯო	42600	42620	42620	100,0	89,5
გურჯაანი	15870	15775	15775	104,7	92,4
სიღნაღი	61000	63544	63544	104,2	93,4
წალენჯიხა	74100	74830	74830	101,0	100,0
თელავი	12900	14100	14100	109,3	94,6
ახმეტა	12700	14010	14010	110,3	100,0
ყვარელი	17750	18860	18860	106,2	88,6
ლაგოდეხი	31500	32247	32247	102,4	79,8
გარდაბანი	23720	30258	26988	113,8	60,9
მცხეთა	7500	7877	7627	101,7	92,8
მარნეული	21500	24378	24378	113,4	92,5
ბოლნისი	16700	18069	16937	101,4	45,4
წალკა	3000	2833	2035	67,8	73,9
დუშეთი	9510	9570	9570	100,6	83,2
თეთრი წყაროო	27800	28490	28430	102,3	87,4
დმანისი	13150	12730	12730	96,8	81,6
თიანეთი	6000	6330	6330	106,5	78,2
სამხ. ოსეთი	24230	24414	21335	88,0	82,6
წყალტუბო I/X	8420	7851	7851	93,2	90,4
სამტრედია	3900	3964	3964	101,6	78,7
წულუკიძე	3000	360	360	12,0	16,7
ვანი	900	837	837	93,0	23,9
ზესტაფონი	1500	1527	1427	101,8	82,3
თერჯოლა	3300	2992	2992	90,7	59,9
ჭიათურა	1950	1525	1455	74,6	5,6
სარხერე	4800	4860	4860	101,2	61,1
სულ რესპუბლიკაში	533210	558225	549376	103,1	86,3

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ პირველი კლასის თესლის მომარაგების საქმე კარგად არის წიოიელწყაროს, ახმეტის, მცხეთის, მარნეულის, ხაშურის, ახალქალაქის, ქარელის, გორის, გურჯაანის, სიღნაღის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამ რაიონებში მომარაგებული თესლის 100-90 პროცენტი პირველი კლასისაა.

მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციების რესპუბლიკური სამმართველოს 10 ოქტომბრის ცნობებით საზოგადოებრივ მეურნეობებში გამოყოფილი იყო 558.225 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესლი ანუ გეგმის 104,7 პროცენტი. გამოყოფილი თესლიდან კონდიციურია (პირველი და მეორე კლასის ნორმამდე) 545.317 ცენტნერი, ანუ კონდიციურის — 99,3 პროცენტი და საჭირო რაოდენობის 100,3 პროცენტი. კონდიციური თესლიდან პირველი კლასის ხვედრითი წილი 86,3 პროცენტია, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს—121.692 ცენტნერით, ანუ 17,3 პროცენტით სჭარბობს.

მიუხედავად რესპუბლიკური საერთო მაჩვენებლებისა, წალკის, ვანის, თერჯოლის, ჭიათურისა და ზოგიერთი სხვა რაიონების ცალკეული მეურნეობები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის კონდიციური თესლით. გარდაბნის, ბოლნისის, ლაგოდეხის, თიანეთის, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, თერჯოლის, სარხერის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული კონდიციური თესლიდან საგრძნობლად დაბალია პირველი კლასის ხვედრითი წილი, ხოლო ჭიათურის საზოგადოებრივ მეურნეობებში ეს მაჩვენებელი 6 პროცენტს არ აღემატება.

დმანისის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასათესად ესაჭიროებათ 13.150 ცენტნერი თესლი, ფაქტიურად გამოყოფილი აქვთ 12.730 ცენტნერი, ანუ გეგმის 97 პროცენტი. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ მეურნეობებში. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მთესველი 9 მეურნეობიდან თესლი საჭირო რაოდენობით არა აქვს გამოყოფილი 6 მეურნეობას და თესლის დანაკლისი 1.300 ცენტნერს აღემატება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ რაიონისათვის თესვის უკანასკნელი ვადა — 20 ოქტომბერია.

წულუკიძის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ნაცვლად 3.000 ცენტნერისა გამოყოფილი აქვთ მხოლოდ 360 ცენტნერი, ამ რაიონის 9 მეურნეობიდან არცერთ მეურნეობას არა აქვს თესლი საჭირო რაოდენობით.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადებაში ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა თვითეული მეურნეობის მიხედვით უნდა შეამოწმონ მეურნეობების მაღალი ღირსების მქონე თესლით უზრუნველყოფის მდგომარეობა და სასწრაფოდ მიიღონ გადამჭრელი ზომები მეურნეობებში არსებული დეფიციტის დასაფარავად.

გარდა ამისა, რაიონებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებს უნდა შევახსენოთ, რომ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესლეულის გამოყოფა და დასათესად მომზადების საუშაოები; მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ საგაზაფხულო თავთავიანი და პარკოსანი კულტურების თესლის მომზადება უნდა დამთავრდეს პირველ ნოემბრამდე, ხოლო სიმინდისა და სხვა კულტურების თესლისა პირველ დეკემბრამდე.

მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციების რესპუბლიკური სამმართველო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 12 ოქტომბერს 70 წლისა გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ამხანაგ პ. პ. ჭირილოვის გადაეცა ჯილდო

(დასასრული)

ჩემთვის ძვირფას მისასალმებელ წერილში და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრძანებულებაში მოცემულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ჩემი დამსახურებების უდიდესი შეფასება.

ჩემთვის, ისევე როგორც თვითეული კომუნისტისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, არა არის რა იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ჩვენი ლენინური პარტიისა და საყვარელი სამშობლოს მიერ მისი დამსახურებების აღიარება.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ და ვამაყობ იმით, თუ რა დიდად დფფასდა ჩემი დამსახურებანი, რომლებსაც ჩვენს ლენინურ კომუნისტურ პარტიას მივაკუთვნებ, რომლის რიგებშიც 46 წელია ვარ და რომელმაც ისე აღმზარდა, რომ ერთგულად და თავდადებით ვემსახურო სამშობლოს, პატიოსნად ვიშრომო ჩემი ხალხის — გმირი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩემი შრომის მაღალი შეფასებისათვის ამ საზეიმო დღეს გულითადად მადლობას ვუხდი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მთავრობას და პირადად ყველა ჩვენგანისათვის ძვირფას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ჩემთვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას-ძეს და პოლიტბიუროში ყველი მის თანამებრძოლს აღვუთქვამ, რომ კვლავაც, სანამ გული მიძგერს, ჩემი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ჩემი ხალხის ერთგული ვიქნები. კვლავაც თავდადებით ვიშრომებ ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეგ, უბედურის უფლებით უფროსად ყოველისა მიხდა ვთქვა, რომ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემთვის ამ სასახარულო და დაუვიწყარ დღეს შენ, ლეონიდ ილიას-ძეგ, ჩვენთან — შენს მეგობრებთან ერთად ხარ, რომლებიც უკვე მეორე ათწლეულია ნაყოფიერად მუშაობენ შენი ბრძნული ხელმძღვანელობით.

ამ ხნის მანძილზე დიადი ძვრები მოხდა ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში. ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებასა და საქმიანობაში აღდგა და განმტკიცდა ლენინური პრინციპები.

ამ ხნის მანძილზე შენ, როგორც არავინ, ისე განადიდე ჩვენი სამშობლო და მისი ხალხები და ისე ბრძნულად შეცვალე მსოფლიოს განვითარება დაძაბულობის შენელებისა და ქვეყნად მტკიცე მშვიდობის დამკვიდრების მიმართულებით, რისთვისაც შენ, ლეონიდ ილიას-ძეგ, კანონიერად მოიხვეჭე ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანის დიდი სიყვარული.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძეგ, ვინ არ იცის, რა მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალს შენს დაუცხრომელ მოღვაწეობას და მსოფლიოში ყველამ კარგად იცის, რა ბევრი რამ გააკეთე და აკეთებ ჩვენი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები ამბობენ და წერენ, რომ ლეონიდ ილიას-ძის სიტყვებში ჩქეფს ოპტიმიზმი, მსოფლიოს მომავალ წარმატებათა რწმენა და რომ ამ გულწრფელობას განამტკიცებს სულ ახალი და ახალი ინიციატივები და პრაქტიკული საქმეები.

ჩვენი პარტია და ხალხი დიდი და სამართლიანი სიამაყით აფასებენ შენს კეთილშობილურ შრომას და დიდი ერთგულებით უპერენ მხარს ყველა შენს ინიციატივასა და იდეას.

პარტიასა და ხალხს უყვარხარ შენ, ლეონიდ ილიას-ძეგ. უყვარხარ შენი ადამიანურობისა და გულითადობისათვის, შენი სიბრძნისათვის, ლენინიზმის უსაზღვრო ერთგულებისათვის.

მთელი შენი ცხოვრების გზამ, სიბრძნემ და ნიჭმა საშუალება მოგვცა შეგეერთებინა და შეგესისხლხორცებინა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ისეთი ძვირფასი თვისებები, რომლებიც მხოლოდ ჩვენი დროის დიდ ადამიანს, ჩვენი პარტიისა და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ბელადს ახასიათებს.

ლეონიდ ილიას-ძეგ, ყველანი მოხარული ვართ, რომ შენ ასეთი ხარ, და ყველანი გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჯანმრთელობას და იმას, რომ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ასეთი ყოფილიყავი მშრომელი ხალხის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ძვირფასო ნიკოლოზ ვიქტორის-ძეგ! დიდად მადლობელი ვარ შენი, რომ ჩვენი სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადმოცემისას ჩემზე, ჩემი ცხოვრების გზაზე გულთბილი, მეგობრული და გულითადი სიტყვები წარმოთქვი. დიდი მადლობა ამისათვის.

ჩემი ცხოვრების გზა — ეს არის ჩვენი სამშობლოს მილიონობით კომუნისტისა და მშრომელის გზა. 70 წელი ცოტა არ არის, მაგრამ არც ისე ბევრი. კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს ასაკი მხოლოდ საშუალოდ ითვლება.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებულია ლენინურ კომკავშირთან და ჩვენს დიად ლენინურ პარტიასთან, რომლებმაც ასეთად გამზარდეს და აღმზარდეს.

1920 წლიდან დაწყებული, სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ზეინკლად ვმუშაობდი ქარხნებსა და შახტში. 30-იან წლებში, გავიარე რა უმაღლესი სასწავლებლისათვის მომზადების კურსები, სტუდენტი

14 ოქტომბერი

ტის მდივნის ვ. როდიონოვის წერილს „გავლენის რადიუსი“.

„პრავდის“ მესამე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს „სახალხო კონტროლის გვერდს“. სხვა საინტერესო მასალებთან ერთად გაზეთი ბეჭდავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ო. მელქაძის წერილს „ინფორმაცია: ანალიზი და მოქმედება“. იგი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის გამოცდილებას ეხება.

„ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით, — ნათქვამია წერილში, — საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ყურადღება გაამახვილა საორგანიზაციო მუშაობის დაბალ დონეზე, სუსტად დაყენებულ საინფორმაციო — მეთოდურ სამსახურზე. რესპუბლიკური კომიტეტი ახლა მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად...

მეოთხე-მეხუთე გვერდებზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი და საინტერესო საერთაშორისო ინფორმაცია.

PRAVDA

„პრავდის“ ფურცლებზე

ზრუნვა პარტიული შევსებისათვის

ასეთი სათაურით „პრავდის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია მოწინავე წერილი.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სკკპ წევრად მიღებას და ახალი პარტიული შევსების აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის, საზოგადოებაში მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ამაღლებისათვის.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათ უფრო სრულად უნდა გაითვალისწინონ კომუნისტებისა და უპარტიო ამხანაგების აზრი, რომლებიც კარგად იცნობენ პარტიაში შემსვლელებს მუშაობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში...

პარტიული კომიტეტები, რომლებიც ახალი შევსების შერჩევისა და აღზრდის მუშაობას ხელმძღვანელობენ, თვალს უნდა ადევნებდნენ სკკპ წესდების დებულებათა განუხრელ დაცვას. საქმე ყველგან ისე უნდა მოეწყოს, რომ პარტიაში შედიოდნენ ნამდვილად საუკეთესონი, რომ გამოვრიცხოთ უღირს პირთა მიღების შესაძლებლობა. ამას უნდა მიაპყრონ ყურადღება რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მბიუროებმა, აპარატმა, პარტიულმა კომისიებმა, — ნათქვამია მოწინავე წერილში.

სათაურით „ყოველი დღე ძვირფასია“ გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვას.

ამავე გვერდზე გამოქვეყნებულია საბჭოთა-კავშირ-ანგოლის ერთობლივი დოკუმენტები: „შეთანხმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის თანამშრომლობის შესახებ“, „საბჭოთა კავშირ-ანგოლის განცხადება“.

რუბრიკით „პარტიული ცხოვრება: იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილებიდან“ გაზეთის მეორე გვერდზე მკითხველი გაეცნობა სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტ-

უპასუხისმგებლობა დიდ მუშაობაზე

დამკვრელურ ობიექტებზე

რა აბრკოლებს რაჭის სამთო-მეტალურგიული ქარხნის კომპლექსის მშენებლობას?

რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის დირექტორის კაბინეტი საბრძოლო შტაბს გვაგონებს. სამუშაო მაგიდის გვერდით საწარმოს რელიეფის მოდელი დგას. კედლებზე ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოების ამსახველი სქემები, ნახაზები, დიაგრამები და ფოტოსურათები კიდია. თითქმის ყოველდღე იმართება თათბირი, სხდომა ან კრება. ვის არ შეხვდებით აქ. ქარხნის ხშირი სტუმრები არიან თვალსაჩინო ქიმიკოსები, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლები. ამას წინათ ქარხანას ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები.

ეს ინტერესი იმის შედეგია, რომ საწარმო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ამაგაგებს 35 სახეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქციით, რომლებსაც ისეთი პერსპექტიული დარგების განსავითარებლად იყენებენ. როგორიც არის გამოთვლითი და ლაზერის ტექნიკა, ელექტროგრაფია, ნახვრგვალტარების წარმოება, საავიაციო ტექნიკა და სხვ. ურავის დარიშხანის საბადო, რომლის ბაზაზეც ქარხანა მუშაობს, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უნიკალურ, მდიდარ საბადოდ ითვლება. მისი წიაღისეული საშუალებას იძლევა მივიღოთ ტექნიკაში მეტად საჭირო უმაღლესი ხარისხის ლითონური დარიშხანის სუფთა შენაერთები.

ვითვალისწინებ რა საბადოს ეს უპირატესობა, აგრეთვე ისიც, რომ ამჟამად მოქმედი ქარხანა ვეღარ დაკმაყოფილებს ახლო მომავალში ქვეყნის სახალხო მეურნეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას, ზემდგომმა ორგანოებმა გადაწყვიტეს მისი რეკონსტრუქცია-გაფართოება განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ, უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად გამოაცხადონ.

ამიტომაც არის, რომ უჩვეულოდ გამოიყურება დღეს ქარხნის ტერიტორია. აქ ახლად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც რომელიმე ძირითადი ან დამხმარე ობიექტის მშენებლობა არ მიმდინარეობდეს. დღე არ გავა, რომ მშენებლობაზე რაიმე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა არ მოხდეს. ერთ-ერთმა ეოწინავე გენერალურმა მოჯარადრემ ამბროლაურის № 10 საგზაო-სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ (უფროსი შ. ქეცანაშვილი) ამ დღეებში ოთმოთვრა წესი-ურავის ფართო საგზაო-მობილო ბაზის რეკონსტრუქცია.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება „საქმახტმშენის“ ტრესტის ჩორდის სამშენებლო სამმართველოს მოწინავე კოლექტივის მიმართ, რომელიც აქ 12 დიდმნიშვნელოვან ობიექტს აშენებს.

მიუხედავად ამისა, სამთო-ქიმიური ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოთა საერთო ტემპი მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის.

შემაშფოთებელია ის, რომ ბევრ ასამუშავებელ ობიექტზე ქვემოჯარადრე ორგანიზაციები კვლავ ძველებურად, უღიმღამოდ მუშაობენ, მთლიანად გერ ითვისებენ კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილ თანხებს. **წლის განვლილ სამ კვარტალში აქ მომუშავე ყველა ორგანიზაციის სახლიმწყობო გეგმით 1.880 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო უნდა შეესრულებინა, ფაქტიურად მხოლოდ 1.710 ათასი მანეთის სამუშაო შესრულდა. რაც გეგმის 90 პროცენტია.** როგორც მშენებლები ამბობენ, ასამუშავებელ ობიექტებზე წლეფოს მერის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ფინანშმა ბევრი დაბრკოლება და ხელშემშლელი მიზეზი წარმოიშვა, რამაც ზოგიერთი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა დაგვიანა.

აი რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით ჩორდის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ა. კუპუხიძემ:

— ჩვენი სამმართველოს კოლექტივი მთელი ყურადღება ახლა ლიითონური ლარიშხანის ახალი საამქროს კომპლექსის მშენებლობას ეძღვნა. ამ ობიექტმა წლის ბოლოს პირველი პროდუქცია უნდა მოგვცეს. საქმე კი ჯერ ძალიან ბევრია. ყველაზე მიტად ოგვიანებს **მაღალი ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ქსელის მშენებლობა.** ანალოგიური მდგომარეობაა თბოქსელზეც. მშენებლებმა ბეტონის ფუნდამენტები ამოიყვანეს, სამუშაო ფრონტი მოემზადეს მემონტაჟეებს, მაგრამ ისინი არ ჩანან. კრისტალიზაციის ოთახში დასამონტაჟებელია 24 სპეციალური ღუმელი. ამაში დამოკიდებული სცოდავს, დღემდე ვერ შემოზიდა საჭირო დანადგარები, არც მეკავშირეებმა მილები გვაქვს. **მშენებლობის ტემპს დიდად ამუხრუჭებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის (უფროსი თ. ბელტიხინი) მოუქნელი მუშაობა. მას 7.400 კუბური მეტრი გრუნტი აქვს შემოსაზიდი**

დამთავრებული 15 ოქტომბერი

ბიბლიოთეკის მუშაკთა ამოცანები

მუშაობა დაამთავრა სარესპუბლიკათაშორისო სემინარ-პრაქტიკუმმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის საკითხებზე. იგი მოაწყვეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროებმა, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო ბიბლიოთეკამ, რესპუბლიკის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ.

ხუთი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილეებმა განიხილეს ბიბლიოთეკების ძირითადი ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, მეათე ხუთწლედში კულტურული მშენებლობისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების პრობლემები, ცენტრალიზებული სისტემების, როგორც ახალი ტიპის საბიბლიოთეკო დაწესებულებების, ჩამოყალიბების პრინციპები, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ცენტრალიზაციის დინერგვის მიმდინარეობა და პერსპექტივები, ცენტრალიზაციის დროს წიგნის ფონდების აღრიცხვისა და დამუშავების გაუმჯობესების პერსპექტივები და ა. შ.

თბილისში მუშაობის შემდეგ სემინარ პრაქტიკუმის მონაწილეებმა სხდომა თელავის რაიონში განაგრძეს. მათ დაათვალიერეს რაიონული ბიბლიოთეკები, გაეცნენ თელავის რაიონის ეკონომიკასა და კულტურას, თელავის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო ქსელის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებში ჩაატარეს პრაქტიკული მეცადინეობა.

ზულრიფშის რაიონშია ბაბუშერის ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა. მისი კოლექტივი ძვირფას პროდუქციას ამზადებს პარფიუმერიისა და კვების მრეწველობისათვის.

ხუთწლედის პირველ წელს აქ გადაამუშავებენ 2500 ტონა ნემსიწვერასა და რეჰანს. მარტო წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მიიღებს 4.485 კილოგრამზე მეტ ამ კულტურების სურნელოვან ზეთს.

დიდად პოპულარულია აგრეთვე დაფნის ზეთი, რომელსაც საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა ამზადებს. შარშან საფრანგეთში გაიგზავნა 1250 კილოგრამი ეს პროდუქცია. წელსაც ამდენივე გაიგზავნება.

ბაბუშერელები გადაამუშავებენ 300 ტონა დაფნას და მიიღებენ 1500 კილოგრამ დაფნის ზეთს.

სურათზე: ნემსიწვერას გადამუშავება.

ი. ჰოხონელიძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ძალვნება

გ. ა. ორჯონიკიძის ფაბადეების 90 წლისთავისათვის

— ოსეთი. [illegible] კომპარტიის ბიუროს, საქართველოს კომპარტიის ბიუროს, ბიურომ განიხილა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ბრძოლა კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მზადების საკითხი. ეს წლისთავი 24 ოქტომბერს სრულდება. შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც მთავარობს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინჩუკი.

ბიუროს კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც იუბილეის რამდენიმე ღონისძიება დასახა. გამართება გ. კ. ორჯონიკიძისადმი მიძღვნილი ბიურთიანებული სამეცნიერო სესია. სამეცნიერო საწარმოებში, ალმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში. სასწავლებლებში წაიკითხვენ ლექციებსა და მოხსენებებს მის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე. დასახული ნაწილი რევოლუციის, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან.

ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მოეწყობა მოძრავი გამოფენა „ორჯონიკიძე და ოსეთი“. (საქინფორმის კორ.).

საკავშირო კონფერენცია, სემინარი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლებისა და მათი შეფასების მეთოდების სრულყოფის გზები — ამ აქტუალურ თემას მიეძღვნა მეცნიერთა და სპეციალისტთა საკავშირო კონფერენცია, რომელიც 13 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში. კონფერენცია მოაწყვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ, საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა.

კონფერენცია გახსნა და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სახელით მის მონაწილეებს მიესალმა რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია.

თბილისის კონფერენციაზე მეცნიერები და სპეციალისტები დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. ისინი უზრუნველყოფენ იმ დიდმნიშვნელოვანი სოციალური პროგრამის წარმატებით შესრულებას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს მეათე ხუთწლედისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გასაფართოებლად.

ბაუმანი. (საქინფორმის კორ.). აქ მუშაობა დაამთავრა საკავშირო სემინარმა საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის და პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების დახვეწის საკითხებზე. სემინარის მონაწილეებმა — სსრ კავშირის საზღვაო ფლოტისა და სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სამინისტროების, შავი ზღვის, ნოვოროსიისკის, საქართველოს, ბაოკ-ის, შორეული აღმოსავლეთის, მურმანსკის საზღვაო სანაოსნობის, ვოლგის სამდინარო სანაოსნოს, წყლის ტრანსპორტის ინსტიტუტების და საპროექტო ინსტიტუტების მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა განიხილეს, თუ რა როლს ასრულებს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობა წყლის ტრანსპორტზე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანიზაციასა და სრულყოფაში.

ი. გოგებაშვილის სამფეროვანი

მუზეუმის ახალი ექსპონატები

გორი. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სოფელ. ვარიანში, სახელმძღვანელოს ავტორის სამშობლოში, ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა დიდი პედაგოგის შთამომავლებთან. შეხვედრაზე მოიწვიეს ავრეთვე ვარიანში იაკობ გოგებაშვილის მიერ 1901 წელს გახსნილი სკოლის ყოფილი მოსწავლეები.

„დედა ენის“ შემქმნელზე მოგონებებით გამოვიდნენ დიდი პედაგოგის ძმისწულები ნინო და ქეთევან გოგებაშვილები, ძმის შვილიშვილი ოსეფ სრესელი, ვარიანის სკოლის ყოფილი მოსწავლეები ს. მეგრელიშვილი, ს. ჯორკველაშვილი, ი. ლომაძე. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის მუშაკმა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა მთმა გადასცეს „დედა ენაში“ შესული გოგებაშვილის ლექსების ხელნაწერი ვარიანტები, ახალი ცნობები სკოლის გახსნის ისტორიის შესახებ.

საიუბილეო წელს სახლმუზეუმს საყურადღებო ექსპონატები შეემატა. ეს არის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემა, სამავშვო ჟურნალების „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ 1912 და 1925 წლების ნომრები, მისი „დარიგება მასწავლებელთათვის...“ პირველი (1972 წლის) გამოცემა, სხვა წიგნები და პერიოდული გამოცემანი.

ახლა მუზეუმში ეწყობა იაკობ გოგებაშვილის შესახებ ახალი მასალებისა და იმ საჩუქრების გამოფენა, რომლებიც უკანასკნელ წლებში გადმოგვცეს ბევრმა ორგანიზაციამ და კერძო პირმა, — თქვა ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახლმუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ქებაძემ. (საქინფორმი).

როგორ გემსახურებათ სასადილო?

საწარმოებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის დათვალიერება-კონკურსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ეკონომიური და სოციალური პრობლემების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, დაადგინეს მოაწყონ რესპუბლიკური დარგთშორისი დათვალიერება-კონკურსი რესპუბლიკის საწარმოებში საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის.

დათვალიერება-კონკურსის ძირითადი ამოცანაა მუშათა სასადილოების ქსელის შემდგომი განვითარება. მათი ტექნიკური აღჭურვის ამაღლება, მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა.

დარგობრივ დათვალიერება-კონკურსს აწყობენ სამინისტროები (უწყებები) და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები. დათვალიერების კომისიათა შემადგენლობაში შედიან მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე), დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე) და შესაბამისი საწარმო გაერთიანებებისა და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ანალოგიური კომისიები იქმნება ყოველ საწარმოში, რომელთა შემადგენლობაში შედიან საწარმოს ხელმძღვანელი (თავმჯდომარე), პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე), კომკავშირული და სავაჭრო ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები.

დანტკიცდა დებულება საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკური დარგთშორისი დათვალიერება-კონკურსის შესახებ და რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისიის შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კაკაძე, მის მოადგილედ — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია.

დათვალიერების პერიოდში უნდა გაძლიერდეს ყურადღება მუშათა სასადილოებში საზოგადოებრივი კვების დონის ამაღლების საკითხებისადმი, გაიხსნას ახალი სასადილოები, ბუფეტები, კულინარიის მაღაზიები, შვაკვლის მაგიდები, ამ მიზნით (აგრეთვე კვების ღირებულების შემცირებისათვის) ფართოდ გამოიყენონ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის სახსრები; შეიმუშაონ და სავაჭრო ორგანიზაციების მონაწილეობით განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძების მომზადების ხარისხის ამაღლებას, კერძების ასორტიმენტის გაფართოებას, ნახევარფაბრიკატების, კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაციას, მომსახურების კულტურის გაუმჯობესებას; გააქტიურონ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების საზოგადოებრივი კონტროლი სასადილოების მუშაობისადმი.

დათვალიერება-კონკურსის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიზანია ის არის, თუ როგორ ასრულებენ საქონლებრუნვისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმებს საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

დათვალიერება-კონკურსი 1977 წლის 1 სექტემბრამდე გასტანს.

გამარჯვებული კოლექტივების წახალისებისათვის დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომები და ფულადი პრემიები: სამი პირველი ხარისხის დიპლომი და 400-400 მანეთი ფულადი პრემია, ხუთი მეორე ხარისხის დიპლომი და 300-300 მანეთი პრემია, ათი მესამე ხარისხის დიპლომი და 200-200 მანეთი პრემია. ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის დაწესებულია 30 საპატიო სიგელი და ფულადი პრემიები.

სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი დათვალიერების კომისიებმა დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ ანგარიშები უნდა წარუდგინონ რესპუბლიკის დამთვალიერებელ კომისიას 1977 წლის 30 სექტემბრამდე.

(საქინფორმი).

უპასუხისმგებლობა დიდ მუშაობაზე

რა აბრკოლებს რაჭის სამთო-მეტალურგიული ქარხნის კომპლექსის მშენებლობას?

და საპროექტო ნაშენულამდე მოსასწორებელი ასამუშავებელი საამქროს კომპლექსი ტერიტორია.

დავინტერესდით ამ საკითხებით, შემოვიარეთ მშენებარე ობიექტი, ვესაუბრეთ ნოვატორებს, სპეციალისტებს. ყველა უმაყოფილოა მექანიზატორთა მუშაობით. საქმე ის არის, რომ სამეურნეო წლის პირველ ხუთ თვეში აქ მექანიზატორებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. მექანიზაციის ტრესტის ჭიათურის სამმართველოს მეუღეურებმა ეს დიდმნიშვნელოვანი უბანი ბედის ანაბარად მიატოვეს. მდგომარეობის გამოსწორება თითქოს დაიწყო ივნისში, როცა ჩამოყალიბდა მექანიზაციის ამბროლაურის უბანი (უფროსი ბ. შარაბიძე), მაგრამ ახლადშექმნილმა უბნის კოლექტივმა დღემდე ვერ შეძლო წლის დასაწყისის ჩამორჩენის დაძლევა და დანაკლისის დაფარვა. ყურადსაღებია ისიც, რომ უბანს არ გააჩნია მექანიზმების სარემონტო ბაზა, აკლია სათადარიგო ნაწილები. მშენებლობის ამ დღეებში, როცა თვითეული საათიც კი ძვირფასია, მექანიზმების ერთი ნაწილი უქმად დგას. მაგალითად, შემოწმების დღეს მშენებლობაზე მხოლოდ ერთი ბულდოზერი მუშაობდა, ექსკავატორების ნაკლებობა დიდად აფერხებს თვითმცლელი ავტომანქანების მუშაობას, იწვევს მათს მოცდენას.

ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები რომ გრაფიკის მიხედვით წარიმართოს. საჭიროა დიდძალი მზა ბეტონი. ეს პრობლემა, თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ თითქოს მოგვარდა. აგვისტოს ბოლო დღეებში დამთავრდა და ამოშალდა ბეტონის დამამზადებელი მექანიზებული ქარხანა. **ახლად აგებულმა ქარხანამ სიჭარბის პირველ დღეებში მხოლოდ 200 ტონა ბეტონი გამოუშვა და გაჩერდა.** მექანიკური მომარაგების სამსახურმა იგი ვერ უზრუნველყო საჭირო ცემენტითა და ინერტიული საშენი მასალებით. მშენებლები იძულებული გახდნენ დაბრუნებოდნენ ბეტონის ხელით დამზადების წესს. ბეტონის დეფიციტის გამო იგვიანებს 400-ადგილიანი მუშათა კლუბის შენებლობის დაწყება და მდინარე ლუხუნის სანაპიროს გამაგრება.

განსაკუთრებით ცუდად არის თითრი დარიშხანის საამქროს კომპლექსის მშენებლობის საქმე. ვენერალური მოჯარადრე — ამბროლაურის № 152 მომრავ-მექანიზებული კოლონა ამ ობიექტზე ვერ ითვისებს იმ თანხებს, რაც გეგმით მშენებლობისათვის არის გამოყოფილი. მშენებლობის ჩაშლას ხელი შეუწყო ვენერალური ძაბიებო სამუშაოთა დაბალმა დონემ. ყამირის ამოძრავებამ სერიოზული საშიშროება შეუქმნა მშენებარე საამქროს. ახლა გამოსავალი ერთია. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსი.

აქ დიდი სამუშაო მოელის ქვემოჯარადრე ორგანიზაციას „საქმეკანმონტაჟის“ სამმართველოს (უფროსი მ. ვაშაძე) მშენებელთა კოლექტივს, რომელსაც თეთრი დარიშხანისა და ელექტროლიზის საამქროების დაშენებაება ევალება. **მემონტაჟეებს ცხრა თვეში 20 ათასი მანეთის სამონტაჟო სამუშაო უნდა შეესრულებინათ, ფაქტიურად კაპიკის საქმეც კი არ გაუკეთებიათ** აქ ასევე საყვედურობენ სამრეწველო ვენტილაციისა და სამხრეთვაკომატიკის სამმართველოს (უფროსი ი. ქინიაშვილი), რომელიც სრულებით არ ჩქარობს დაგალებული სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ტექნიკური მომარაგება. მშენებლებს ხან ერთი, ხან მეორე საშენი მასალა და მონტაჟობილობა—აკლიათ. მაგრამ სარე

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲠᲐᲪ ᲛᲢᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲜᲒᲠᲔᲕᲘᲐ, ᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲨᲔᲜᲔᲑᲘᲐ

ᲛᲝᲜᲖᲐᲣᲠᲗᲐ შთაბეჭდილების ნაირფერი საღებავები მკრთალად ასახავენ ჩვენი ქვეყნის განუმეორებელ მშვენიერებას. იმ განცდებსა და სულისკვეთებას, რომელიც თავისთავად იბადება მზეთუნახავი ციმბირის, ცისფერი ბაიკალის, რომანტიკული ზღვისპირეთის, ოკეანო შუა აზიის, ხელუხლები და ადამიანის ხელით მოქარგულ-მოხატული მთა და ბარის ნახვით.

წერის სურვილი არც მე მქონია. ჩემს თანამგზავრებთან ერთად მივდიოდი საქმიან მოგზაურობაში. ისე, როგორც საქართველოსაკენ მოემართებიან ახლა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ამაღლებული განწყობილებით მიმიხაროდა ფერფლიდან და ნანგრევებიდან ამდგარ მიწა-წყლისაკენ.

მაგრამ რა დაიტვედა უთქმელად, გაუზიარებლად ამდენ სიამოვნებას, ასეთ აღტაცებას.

...მინსკი. ბელორუსიის დედაქალაქი, მისი გამოკვეთილი სახე და სიამაყე. ასე ძლიერად ალბათ, არც ერთ ქალაქში არ ლაპარაკობენ ქვები... ქვითინებენ. იცინიან, ილხენენ. ომის შემდეგ აშენებდნენ მას ადამიანები პირშეუკვრელი ჭრილობებით, დაიარავებული გულებით. აშენებდნენ სახლებსა და სასახლეებს ქვებისაგან სევდისფერად, ნაცრისფერად, ნაღვლის თქმელ ფერებად. ბევრი არქიტექტურული ანსამბლები დღესაც იმ ფერისაა. ადამიანებს უნდათ იმ დღეთა სამახსოვროდ გადაეცეს მარადისობას ბელორუსი ხალხის, მთელი ჩვენი დიდი მიწის, ყველა ერისა და ეროვნების საგოდებელი!.. რაღაც საოცრებთა გადარჩენილი ქალაქის შუაგულში მდებარე ოდითგანვე მხიარული ფერის სძალველის ძეგლი ბგავს მინსკის სევდის მთქმელ კაბაზე მიმაგრებულ ლამაზ გულსაბნევს... ვერა, მინსკი ვერ დაივიწყებს ამ დათალხულ კაბას. მაგრამ მინსკი მრომობს. მინსკი იბრძვის, მინსკი აშენებს. მას სხვა სამოსელიც აქვს. ღია და მხიარული ფერის სამოსელი. ახალი თაობა აშენებს დღეკანდელი სულისა და განწყობილებების შესატყვისად, დღეკანდელი ალმაფრენის შესადარად.

ო, რა დიდი ზომითაა განსხეულებული სუსხიან კლიმატს შეჩვეული ხალხის ხასიათსა და ბუნებაში სამხრეთული მჩქეფარე ტემპერამენტი, ემოციები.

— ჩვენი ბელორუსია!.. აღტაცებით ამბობს ამ მიწაზე ფეხდადგმული ქართველი კაცი.

— ჩვენი საქართველო!.. ეს მერამდენედ იმეორებს სიყვარულით მინსკის გამომთვლელი მაჩქანების ამწყობი და დამმონტაჟებელი ქარხნის თვითეული მუშა, რომელთა ხელქმნილი საქართველოშიც საკმაოდ იგზავნება.

ეს არის სოციალისტური ცხოვრების წესის, საბჭოური ხასიათის თვისება და ნიშანი, ჩვენი დიადი ერთობის სიმტკიცე და შეუვალობა.

ბელორუსიის გზები და მაგისტრალები სრულ საშუალებას გვაძლევენ მაგრად ჩავკვრთ მის განიერ მკერდს, სწორად გავიგოთ მისი სუნთქვა და ნაფიქრალი.

აქ სოფლები ფერფლისფერი ქანდაკებებით იწყება. მწუხარე ქალი, შემართული ვაკაცი... ამცნობენ მგზავრებს, ამ სოფელს რა ჭირი გადახდომია, რა ძნელბედობა თავს დასტყდომია...

მინსკ-ვიტებსკის მოასფალტებული გზატკეცილის ორმოცდამეთოთხმეტე კილომეტრზე ჩაჩვენებელი საგანგაშოს ამცნობს მოგზაურს. მანქანები მარჯვნივ უხვევენ ტრაგედიის ადგილსამყოფელისკენ. სოფელი ხატინი... ცოცხლად დაწვეარი და დაფერფლილი ადამიანები, ამოწყვეტილი სახლ-კარი. ახლა ბელორუსიის რუკაზე აღარ არსებობს ეს სოფელი. ადრეულ გაზაფხულზე ბუნების გამოღვიძების ჯამს გერმანელებმა წამებით, ტანჯვით მოკლეს ხატინი, ნასახლარად აქციეს იგი.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიან აქეთკენ ადამიანები, რომ ნახონ სოფელი-ხამარე.

იმ დღეს რუსი და უზბეკი, სომეხი და ქართველი ქედმოხრილი იდგა 26 ჭიშკრის წინაშე, რომელიც არასოდეს არ გაჭრიალდება, სამმო საფლავის წინაშე, სადაც განისვენებს ერთ ფარდულში ერად შეყრილი და ფაშისტების მიერ ცოცხლად დამწვარი 149 წამებული. ობელისკები, ობელისკები, ობელისკები და ზარები... ეს ხატინის ნაბათია, რომელიც მრისხანედ ბრალს სდებს ჯალათებს და ქვეყნიერებას ამცნობს ბელორუსული სოფლის ტრაგედიას.

რამდენი სოფელი დასწვეს, რამდენი ნანგრევებად აქციეს. მაგრამ აღდგა ნასახლარი, მიტოვებული კერა. სიცოცხლე დაუბრუნდა სლუცკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გაერთიანებული რვა სოფელს. დგას აღზევებული და წელგამართული 900 კომლი. ბედნიერად ცხოვრობენ თავის მიწაწყლის უზომოდ მოტრფიალე ადამიანები. ადამიანებისადმი პატივისცემა და მოწიწება ათქმევინებს ბელორუს გლეხს უცნობსაც გულწათლად უსურვოს დილა მშვიდობისა, დღე მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგეი ლემეშჩინკო რომანტიული ბუნების კაცია. მისი ყოველი მოძრაობა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი განკარგულება ამკაცავნებს ადამიანების ღირსებისადმი უდიდეს პატივისცემას, მისმა დიდმა ბუნებამ. საერთო ქმედებისაკენ სწრაფვამ ხელმძღვანელი და რიგითი ადამიანები ისე შეათვისა და შეამჭიდროვა, რომ მათ ერთიან იერიშს, შემართებას ვერ უმკლავდება სიძნელე და წინააღმდეგობა.

რას მიაღწიეს? ძალიან ბევრს! კოლმეურნეთა ძირითად შემოსავლის წყაროს საზოგადოებრივი წარმოება წარმოადგენს. მხოლოდ 10 პროცენტი ეკუთვნის დამხმარე მეურნეობას. ტექნიკა ღრმად შეიჭრა სოფლის მეურნეობაში, რამაც საშუალება მისცა კოლმეურნეობას შეექმნა მეცხოველეობის, მემინდვრეობის, მებოსტნეობის საამქროები. საამქროებს მხოლოდ ზოოტექნიკოსები და ტექნოლოგები ხელმძღვანელობენ.

ერთი ქალი წველის 116 ძროხას. საწველი დარბაზი 44 ძროხას იტევს ერთდროულად და რძე მილებით მიწოსქვეშა მაცივრებისაკენ მიდის.

ამ სოფელში ხილი არ ლპება, ბოსტნეული არ ხმება. ავტომატიზებული გადამმუშავებელი ქარხანა არასტანდარტული ხილისაგან ამზადებს შუშხუნა ღვინოს, წვენებს, კონსერვებს. და ასე დიდხანს შეიძლება ვთვალოთ მექანიზებული სამუშაოები და სოფლის დიდი კეთილდღეობა.

ძლიერ მეურნეობას ძლიერი კულტურისა და განათლების კერენი აქვს. ლამაზი სკოლები, ბაგა-ბაღები, კლუბი და სამკითხველოები. ბუნების მადლიანმა სიუხვემ, ადამიანის ძალამ და გაძღოლის უებრო ნიჭმა წალკოტად აქცია კოლმეურნეთა დასასვენებლად განკუთვნილი ადგილიც. ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ ორი კვირა იმყოფებოდა გერმანელთა "ლელეგაცია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახეზე გადაკრულმა სინათლემ საშუალება მომცა ჩამეხედა მის შინაგან სამყაროში. ამომეცნო, რა ამბძრავებდა ომიდან ხეიბრად დაბრუნებულ, ცოლშვილამოწყვეტილ, საკუთარ სულთან მარტო დარჩენილ კაცს გერმანელი სტუმრების მიღების დროს. და მე მივხედი: გულში კეთილგანდეგურად ბობოქრობდა ჯერაც ჩაუმქრალი ცეცხლი განცდილისა, მაგრამ მათთან ურთიერთობაში ჩვეულებრივ გრძნობებზე, მოვლენათა ჩვეულებრივ ლოგიკაზე მაღლა იდგა უფრო დიდი და მნიშვნელოვანი...

„ლომის და ვეფხვის ნაშობი
განა მგლად გადაშენდება?!
სალი კლდის მაგარ ნაპრალზე
არწივის ბუდე შენდება...“

თავისთავად აკვიატება ჩემს მეხსიერებას ქართველი პოეტის ეს ძლიერი სიტყვები. ალბათ, ბერლინის პარკშიც ასეთი მეომარი-ჰუმანისტის ამაყი და შემართებული ფიგურა დგას გამარჯვების მახვილითა და გადარჩენილი გერმანელი გოგონათი ხელში.

მეომარი მოქალაქე სხვა მასპინძლებთან ერთად მიგვიძღვება აუწერელი სილამაზის ტყის პირისაკენ...

ტყის ნიავქარი განუწყვეტლივ ჩურჩულებს ალექსი ბელოვის, გალაქტიონ რაზმაძის, სურენ სარქისიანის, ჯემაშ ასანალიევის და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი გმირის დიდების ამბავს... მიაქვს საბჭოთის დიად მოქალაქეთა ლეგენდად ქცეული სახელები რუსეთში, საქართველოში, სომხეთში, ყირგიზეთში...

რა აძლევდა ძალას მდინარე ბუგის უკვდავ ციტადელის დამცველებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ მისთვის?! ის დიდი ძალა, რომელსაც მამულის ძლიერი სიყვარული ჰქვია. იგი, რასაკვირველია, მათთვის იწყებოდა მშობლიური ეზო კარით, საყვარელი ქუჩაბანდეებით, ქალაქითა და რესპუბლიკით. მაგრამ მისი კიბაკაშა ბვირგვინი კოლმეურნეთა ლოგიკაში ბოლო მიწა იყო, რომლის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი, სადაც არ უნდა მდებარეობდეს, განურჩევლად ძვირფასი, წმინდა და ამაღლებულია-ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის.

დღესაც ამაყად დაგბიჯუნენ საქართველოს ქუჩებში ბრესტის შეუდრეკელი დამცველნი, რომელებისთვისაც დიდი მამულის დაცვა იმ დროს ბრესტის ციხე-სიმაგრის კედლებისათვის თავგანწირვით იწყებოდა.

— ამ ტყეს, ამ ველებს ახსოვთ სისხლიანი თარეში, ამ არეში დღესაც ბობოქრობს სამკედრო-სასიცოცხლო ქარიშხლის ქქო. ამ მიწას ჩვენი ამბორი და პატივისცემა. — სულიერი ტკივილების გამოძახილი მომესმა თავმჯდომარის ხმაში. იმ წუთს აშკარად ვიგრძენი, რა ძლიერად განასახიერებდა იგი ბელორუსი ხალხის თვისებებს, უდრეკ ნებისყოფას, დიდ სიმართლეს, მაღალ შინაგან კულტურას, ღრმა ადამიანურ გრძნობებს.

ასეთი ხალხი უკვდავია, უკვდავია, ვინც არ ივიწყებს ცეცხლოვან წარსულს...

ვაკაცური სუფთა ღიმილი დაუბრუნდა თავმჯდომარეს და სხვა დანარჩენ თანამგზავრთა დანისლულ სახეს.

გვენანება ამ თბილი გრძნობების, თბილი განწყობილების, სევდანარევი და მხიარული ურთიერთობის დათმობა....

ჩვენ ისევ გზაზე ვართ. ეს გზა არასოდეს არ დამთავრდება, რადგან მიემართება სპეტაკი ადამიანური ურთიერთობით გამთბარ, დღეის სინათლით გასხივოსნებულ ყველა რესპუბლიკამდე, ქალაქამდე, სოფლამდე.

რა კარგად და რა ლამაზად თქვა ასეთ ამაღლებულ ურთიერთობაზე ბელორუსმა მწერალმა პეტრო გლებკამ.

— ზეიმია ჩემს ბელორუსიაში. რომ იცოდე, როგორ გელოდები, მეგობარო. სულ ერთია საიდან მოხვალ, ჩემთვის შენ ყველგან ხარ — მოსკოვში, ლენინგრადში, ურალზე, ციმბირში, გელოდები... შენთვის ღიაა ყველა სახლის კარი, ყოველი ადამიანის გული. მოდი და ჩემთან ერთად ძმურად გაიზიარე ალაფად მორთმეული პურ-მარილი, ისე, როგორც იზიარებდი ჩემს მწუხარებას, შრომასა და ვარჯას. სულ ერთია, სად მოისუნთქავ დარჩენას — მინსკში, ვიტებსკში, ბრესტში, მოგილიოვში, შენ მაინც ჩემთან იქნები, რადგან ჩემს გულში გაქვს შეურყეველი, დიდი ადგილი, ჩემო ძმარ და მეგობარო“.

...პატარა კენჭი ჩავაგდე კოლმეურნეობის დასასვენებელ სახლთან ხელოვნურად გაჭრილ მოლიელოვე ტბაში, ნიშნად ხალხური გადაცემისა... მინდა ისევე დავბრუნდე ამ გზაზე, ადამიანური დიდი გრძნობებითა და ძლიერი განცდებით, სიცოცხლის უტეხი სიყვარულით ფიანდაზად დაფენილ გზაზე.

დღეს ეს დიდებული გზა ჩვენსკენ მოემართება. ჭაღარა კავკასიონის კალთები, საქართველოს სიმწვანე და სიკეკლუცე მოუთმენლად ელოდეს ჩვენი დიადი მამულის ყოველი კუთხიდან მოძმესა და მეგობარს.

ჩვენ გვინდა ამ ცოცხალმა შეხებამ და ურთიერთობამ შექმნას ამაღელვებელი განწყობილება, მაღალი აზრები და გრძნობები, რომელიც ხვალ ადამიანთა ვაკაცური შემართების დაუძლეველ ძალად გადაიქცევა.

მშვიდობით გეგლოთ საქართველოსაკენ, ძვირფასო მეგობრებო...

ᲗᲘᲜᲐ ᲖᲐᲠᲒᲘᲜᲐᲕᲐ.

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ. ვიტებსკი თავის მეათასე წლისთავს აღნიშნავს. საუკუნეებმა თავისი კვალი დაჩნია ძველ ქალაქს, მაგრამ არ მოუბერებია იგი. ფაშისტური ოკუპაციის წლებში თითქმის მთლიანად დანგრეული ქალაქი ნანგრევებიდან. ფერფლიდან აღდგა და განახლებული და მშვენიერი გახდა.

გარეუბნებში, სადაც ოდესღაც უკაცრიელი ადგილები იყო, საცხოვრებელი სახლების უბნები აშენდა. ქალაქში გაჩნდა ახალი პროსპექტები, მოედნები, ბულვარები ვიტებსკელთა სიამაყეა ლენინის ქუჩა. ლამაზია გამარჯვების მოედანი.

ქალაქის მცხოვრებთა დაახლოებით ნახევარს ახალგაზრდობა შადგენს. ოთხ უმაღლეს და ათ საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 20 ათასამდე კაცი სწავლობს.

რესპუბლიკაში წარმოებული მაღალი კლასის ჩარხების 40 პროცენტს, ხალიჩეულის 60 პროცენტს, აბრეშუმის ქსოვილების 80 პროცენტს ვიტებსკის საწარმოებში უშვებენ. 75 სახეობის ხამრეწველო ნაკეთობას მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐ: ქიროვის ქუჩა 5. პაიმოვისა და ა. ცერლიუკევიჩის ფოტო (საკვლევის ფოტოქრონიკა).

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘ 1000 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲐ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, (საკვლევი). საბჭოთა კოსმონავტები ვ. თ. ბიკოვსკი და ვ. ვ. აქსიონოვი, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ე. ჰონეკერის მოწვევით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არიან, ესტუმრნენ ბერლინის უბნის ტრეპტოვის ელექტროაპარატურის კომბინატის კოლექტივს. მათ დაათვალიერეს კომბინატი. ესაუბრნენ მუშებსა და მოსამსახურეებს. ერთ-ერთ საამქროში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ვ. თ. ბიკოვსკი და წარმოების ოსტატი ე. ნუტჩანი.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები ლაიფციგს გაემგზავრნენ. ქალაქის მოსახლეობამ „სოიუზ-22“ ხომალდის ეკიპაჟს გულითადი შეხვედრა მოუწყო. დღის მთავარ მოვლენად იქცა ქალაქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლაიფციგის სოლიქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰ. შომანმა. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, ილაპარაკა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-9 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ოლქის მშრომელთა წარმატებებზე. აღნიშნა ორი ქვეყნის ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის „სოიუზ-22“ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაფრენის დიდი მნიშვნელობა, რომელზეც მუშობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამზადებული აპარატურა. ვ. თ. ბიკოვსკიმ, რომელიც მიესალმა მიტინგის მონაწილეებს, თქვა, რომ „სოიუზ-22“-ზე ჩატარებული კვლევის შედეგები ხელს შეიწყობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკის შემდგომ ზრდასავლობას.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. (საკვლევი). აქ გამოქვეყნდა ბელგიის კომუნისტური პარტიის განცხადება, რომელიც ეძღვნება ამასწინანდელი კომუნალური არჩევნების შედეგებსა და ქვეყნის მდგომარეობას. განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მემარცხენე ძალებმა არჩევნებში მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, უპირატესად მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

ახლანდელ პირობებში, ხაზგასმულია განცხადებაში, მთავარი ამოცანაა ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ მსხვილი კაპიტალის შეტევას მშრომელთა ცხოვრების ინტერესებზე. განსაკუთრებით ახლა, როცა ქვეყანა ეკონომიურ კრიზისს განიცდის. საჯარო მტკიცე და გადამწყვეტი მოქმედება მთავრობის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ მოხდეს ეგრეთ წოდებული „საწარმოთა რეორგანიზაცია“, რომლის შედეგად უმუშევარი დარჩება ათასობით ბელგიელი მშრომელი.

როგორც ხაზგასმულია ბელგიის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რეალური შედეგები შეიძლება გამოიღოს მხოლოდ ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის, მთელი დემოკრატიული ძალების ფართო და ორგანიზებულმა გაერთიანებამ მონოპოლიებისა და მმართველი კლასების ანტიმუშური პოლიტიკის წინააღმდეგ თავიანთი უფლებების დასაცავად.

ᲕᲘᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲤᲔᲠᲐᲠᲐᲨᲘ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲠᲝᲛᲘ. (საკვლევი). ქალაქ ფერარაში გაიმართა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნების — ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, დანიის, იტალიის, ლუქსემბურგის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, აგრეთვე ფინეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, სან-მარინოს კომუნისტურ პარტიათა წარმომადგენლების შეხვედრა, რომლებმაც განიხილეს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების სოფლის მეურნეობის პრობლემები, ევროპის ეკონომიური გაერთიანების აგრარული პოლიტიკა.

შეხვედრის მონაწილეებმა გააკრიტიკეს „საერთო ბაზრის“ აგრარული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლის შემდეგ ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ქაოსი შეიქმნა. გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგატმა აღნიშნა, რომ მრავალეროვნული კომპანიები „საერთო ბაზრის“ ამისათვის იყენებენ, რომ ექსპლუატაცია გაუწიონ გლეხებს და გამდიდრდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომხმარებელთა წყალობით.

შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ კომუნისტურ პარტიებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ „ევროპის ეკონომიური გაერთიანების მონაწილე ქვეყნების გლეხების, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკვლევი). ბანგკოკში კვლავ შემოღებულია კომენდანტის საათი, რომელიც სამხედრო ხუნტამ გაიქმა ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე. ტაილანდის რადიო ამ ბოლო დღეებში ხუნტის მმართველი საბჭოს სახელით გადასცემს გაფრთხილებებს ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეებისაგან და იმუქრება, რომ ქვეყანაში კონტრგადატრიალების მოწყობის ყოველგვარ ცდას სასტიკად ჩაახშობენ. ამასთან კონკრეტულად არავის არ ასახელებენ. ერთ-ერთ რადიოგადაცემაში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი მათგანი, ვინც ძალაუფლება დაკარგა, ცდილობს დაიბრუნოს იგი, აწყობს ოპოზიციას ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და სხვა რაიონებში“.

ტაილანდელ გენერლებს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა. ზოგიერთი მათგანს მიაჩნია, რომ გენერალ ტუანარეს შშრომელ სამხედრო ხუნტაში ხელმძღვანელი პოსტების განაწილების დროს. ბანგკოკში დადის ხმები, რომ კონტრგადატრიალების ცდაც კი იყო. თითქოს მეზობელ პროვინციებში დანანაკებული რამდენიმე ქვეითი ქვეგანყოფილება დაიძრა ლედაქალაქისაკენ, მაგრამ შეაჩერეს ხუნტის ხელმძღვანელობის ერთგულმა ჯარებმა.

ᲕᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘᲡ სამხედრო ხელისუფლებამ განკარგულება გასცა კონფისკაცია უყონ და გაანადგურონ, როგორც ხუნტის წრეებში ამბობენ, „პროკომუნისტური ლიტერატურა“.

კონფისკებულ ლიტერატურას ცეცხლში წვავენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐ: მემარჯვენე ორგანიზაციების რეაქციონერები წვავენ კონფისკებულ წიგნებს.

აპ-საკვლევი ტელეფოტო.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲐᲜ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲞᲐᲠᲚᲔᲛᲨᲘ

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** პარლემში — ნიუ-იორკის ზანგების რაიონში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მიტინგი გაიმართა „სამხრეთ აფრიკის ხალხთა განთავისუფლების დღის მომწყობი კომიტეტის“ ინიციატივით.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

● **ᲑᲝᲜᲜᲘ.** ბონში გამოქვეყნებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სურსათის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით სექტემბერში სურსათის ფასები ნაშუალოდ 4,7 პროცენტით გაიზარდა გასული წლის ამავე თვესთან შედარებით. ზოგიერთი კვების პროდუქტი 10 პროცენტით და მეტად გაძვირდა. თითქმის 70 პროცენტით გაძვირდა კარტოფილი, 20 პროცენტით — სხვა ბოსტნეული.

ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ

● **ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** ესპანეთის კინემატოგრაფიის გენერალური დირექციის ცენზურის ხელმძღვანელობა ქვეყნის კინოთეატრებში აკრძალა ფილმის „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ დემონსტრაცია. ეს გადაწყვეტილება მკაცრად დაგმო მადრიდის ერთ-ერთმა უდიდესმა გაზეთმა „პაისმა“. „ესპანელებს,—წერს გაზეთი — აიკრძალათ რეალისტური ნაწარმოების ნახვა, რომელიც მსოფლიოს კინემატოგრაფიის ოქროს ფონდშია შესული“.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲝᲥᲛᲡ

● **ᲑᲐᲓᲓᲐᲓᲘ.** აქ ხელი მოაწერეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასა და ერაყის ახალგაზრდობის სუოყველთაო კავშირს შორის თანამშრომლობის ოქმს. გათვალისწინებულია ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცების, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონტაქტების გაფართოების ღონისძიებანი. ორივე მხარემ გამოხატა მისწრაფება ხელი შეუწყონ სხვადასხვა ხალხთა ურთიერთგაგების პროცესს და განაგრძონ ბრძოლა ყველა კონტინენტზე ახალგაზრდობის უფლებებისათვის.

ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲝᲒᲜᲐᲜᲘ ᲛᲘᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. (საკვლევი). „საერთო ბაზრის“ წრეებში სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სულ უფრო სწრაფად იზრდება იაპონიის ფოლადის ექსპორტი დასავლეთ ევროპის ხალხელმწიფოებში. მიმდინარე წლის მარტო იქნა თვეში ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებში იაპონიიდან შემოზიდეს 700 ათასამდე ტონა ფოლადი. ამის შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობანი „ცხრეულსა“ — და ტოკიოს შორის.

„საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელ ორგანოებს მიაჩნიათ, რომ თავისი საექსპორტო პოლიტიკით ტოკიო ძირს უთხრის დასავლეთ ევროპის ისედაც დასუსტებულ მეტალურგიულ მრეწველობას. ეკონომიურ კრიზისს, რომელმაც კაპიტალისტური სამყარო მოიცვა, მოჰყვა ფოლადის წარმოების მკვეთრად შემცირება ევროპაში 1975 წელს.

ამიტომ დასავლეთ ევროპის ფოლადის მრეწველებს მიაჩნიათ, რომ იაპონიის მოქმედება ამალი საფრთხეს უქმნის მათ პოზიციებს კონტინენტის ტრადიციულ ბაზრებში.

ᲒᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, (საკვლევი). აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მოხაცემები მოწმობენ, რომ სამრეწველო წარმოება ინგლისში მიმდინარე წლის აგვისტოში ერთი პროცენტით შემცირდა წინა თვეებთან შედარებით. მანამდე გამოაცხადეს, რომ გაიზარდა ნედლეულისა და მზა პროდუქციის საბითუმო ფასები. ამავე დროს ლონდონის საგალუტო ბირჟაზე გრძელდებოდა ციებ-ცხელება, რაც გამოწვეულია გირვანქა სტერლინგის კურსის დაცემით.

გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის“ აზრით, მთავრობის მიერ გამოცხადებული მიზანი — სამრეწველო პროდუქციის მოცულობის 4,5 პროცენტით გადიდება — მიეღწეველი რჩება. უმუშევრობის შემცირების იმედი სრულიად გაქარწყლდა, ხაზს უსვამს ინგლისური გაზეთი.

ᲕᲘᲜ ᲘᲓᲒᲐ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ?

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲐᲘ უკვე თვეზე მეტია, რაც პორტუგალიელები, ვაზეთებს რომ გადაშლიან, სულ უფრო მეტ დაწვრილებითს ახალ ამბებს იგებენ მემარჯვენე ტერორისტთა იმ ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რომლის ლიკვიდაციას ხელისუფალნი აკავშირებენ ბოლოს შეუდგნენ. 200-მდე ტერორისტული აქცია, 15 მოკლული, ათობით დაჭრილი, ასეულ ათასობით ესკუდოს მატერიალური ზარალი — ასეთია ავბედითი შედეგი იმ მოქმედებისა, რასაც ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის ტერორისტული ჯგუფი“ ეწეოდა, 17 თვის განმავლობაში, რიგა დაუჯელად მოქმედებდა ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ პროვინციებში, ლისაბონსა და პორტუში.

განმიების მასალები, რაც პრესაში გამოქვეყნდა, ცხადყოფენ ამ ორგანიზაციის საქმიანობის სტრუქტურასა და მეთოდებს. მისი „ტვინი“ და „ხერხემალი“ იყვნენ ჩრდილოეთ პორტუგალიის „საქმიანი სამყარო“ წარმომადგენლები და ადგილობრივი ლატიფუნდისტები. ისინი ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს, აფინანსებდნენ და იარაღს აწვდიდნენ მათ. ხელმძღვანელი ცენტრიდან მოდიოდა „ამძრავი ღვედი“, რომელსაც მოძრაობაში მოყავდა განშტოებული ტერორისტული „ქსელის“ ძირეული „ჯარედები“ ქალაქებში პორტუში, ბრაგაში, პოვოა დი ვარზინში, ფამალიონში, პონტე-დი-ლიმაში.

ათზე მეტ დაპატიმრებულ



ეცნობიან ჩვენს კულტურას



შვეიცის ქალაქ ციურიხში 8 ოქტომბერს დაიწყო საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობით. მისი ორგანიზატორები არიან საზოგადოებათა კავშირი „შვეიცა-ცსრ კავშირი“ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირი.

შვედი მეგობრები იმისათვის, რომ უკეთ ჯაცნონ თავიანთ თანამემამულეებს მათი უახლოესი მეზობლის საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრება, კულტურა, მიღწევები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და, რაც მთავარია, მისი სამშვიდობო პოლიტიკა, ტრადიციულად, ყოველწლიურად აწყობენ ცსრ კავშირის კულტურის დღეებს რომელიმე რესპუბლიკის მონაწილეობით.

წელს შვედი მეგობრების ასეთი ტრადიციული ღონისძიება ეძღვნება საბჭოთა საქართველოს.

— როგორ გაკაცნობთ ჩვენს რესპუბლიკას შორეული ძველნის ხალხს, რა ღონისძიებები გაიმართება, რომ შვედებმა უკეთ გაიგონ ჩვენი ისტორია, კულტურა, დღევანდელი ცხოვრება? — ამ კითხვით მივმართეთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მაღონა მგელაძეს.

— შვედ მეგობრებთან წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, — გვეუბნება მან, — მათ ქვეყანაში გავგზავნეთ რამდენიმე ექსპოზიცია. ორი თემატური ფოტოგამოფენა. ერთი — „საბჭოთა საქართველო“, რომელიც შვედებს ფართოდ აცნობს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ პეიზაჟებს, ქალაქებს, კურორტებს, მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ჩვენი განათლების კერებს, გამოჩენილ ადამიანებს.

მეორე ფოტოგამოფენა ასახავს საქართველოს უძველესი კულტურის არქიტექტურულ ძეგლებს.

ციურიხში საქართველოს დღეების საზეიმო გახსნაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილმა ტურისტულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიან საზოგადოების აქტივისტები.

შვეიციდან მიღებული ცნობით, ციურიხელებს მცხოვრებლები ინტერესით ათვალიერებენ ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენებს. ექსპოზიციაშია ნიკო ფიროსმანიშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, უნა ჯაფარიძის, სერგო ქობულაძის, ეკატერინე ბაღდავაძის, კორნელი სანაძის, ნათელა იანქოშვილის, ზურაბ ნიკურაძის, დინარა ნოდიას, რევაზ თარხან-მოურავის, ირაკლი ოჩიაურის, კობა გურულის, გურამ გაბაშვილის, რევაზ წერეთლის და სხვა ქართველ მხატვართა ფერწერული ტილოები, გრაფიკული, კერამიკული ნამუშევრები, ჭედურობის, ხეზე კვეთილობის ნიმუშები, ქართული ხალიჩები.

ცალკეა ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა. აქ წარმოდგენილია მხატვრის როგორც ადრინდელი, ოციანი წლების დასაწყისის, ისე მომდევნო ხანისა და წლევანდელი, სულ 70 ნამუშევარი.

აღსანიშნავია, რომ ეს არის მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ჩვენი რესპუბლიკის უკეთ უაცნობის მიზნით, ციურიხში მოეწყო ქართული წიგნის გამოფენა.

ცალკეა საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის გამოფენა, სადაც ფართოდ ნაჩვენებია ჩვენი სახელგანთქმული ღვინოები, კონიაკები, ჩაი, კონსერვები, მურაბები. ექსპონირებულია აგრეთვე ქართველ ბავშვთა ნახატები.

შვედი მაყურებლები ნახავენ საუკეთესო ქართულ დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს. კერძოდ „ხევსურეთს“, „საქართველოს საესტრადო სიმღერებს“, „ერთი დღე ბაკურიანში“, „გამარჯობა, საქართველო“ და სხვ.

გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლები მოისმენენ ქართულ ხალხურ და კლასიკურ მუსიკას, რისთვისაც შვეიცარიაში დიდი რაოდენობით გავგზავნეთ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისა და ხალხური მუსიკის გრამფირფიტები.

— ესკილსტუნას გარდა საქართველოს დღეები შვეიცის კიდევ რომელ ქალაქში გაიმართება?

— წინასწარი საორგანიზაციო გეგმის თანახმად, საქართველოს კულტურის დღეები ესკილსტუნაში 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება. შემდეგ ქ. უმეოში გადაინაცვლებს. აქ 5 ნოემბერს მოეწყობა კულტურის დღეების საზეიმო გახსნა და 27 ნოემბრამდე გასტანს.

საქართველოს დღეები განსაკუთრებით ფართოდ შვეიცის დედაქალაქ სტოკჰოლმში აღინიშნება. აქ 4 დეკემბერს გაიმართა საზეიმო ჯახნას დაესწრება ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი ოფიციალური დელეგაცია.

საქართველოს კულტურის დღეებში შვედებს ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს გააცნობენ ქუთაისის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქუთაისი“, საბოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეთქმოქმედი ანსამბლი „გორდა“ და ფაფა ვოკალური ანსამბლი „ციისფერი ტრიო“.

17 ოქტომბერს სტოკჰოლმში, სამეფო თეატრში გაიმართება ქართული სიმღერისა და ცეკვის პირველი კონცერტი, შემდეგ ანსამბლები ორ ჯგუფად გაიყოფიან და კონცერტებს გამართავენ შვეიცის 60 ქალაქში.

28 დეკემბერს სტოკჰოლმში მოეწყობა საქართველოს დღეების საზეიმო დახურვა.

გუშინ საქართველოს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები შვეიციაში ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრნენ, საიდანაც ხვალ, 16 ოქტომბერს სტოკჰოლმში მიემგზავრებიან.

ლ. ხუბულური.



ხის „მაქმანი“

ხეერდლოვსაის ოლქი. ღირს ნახოთ სერგი ივანეს-ძე კირილოვის ხახლი ხოფელ კუნარაში. ყველაფრის ოსტატმა კაცმა ხის ჩუქურთმით ისე დაამშვენა იგი, რომ მშვენიერი „მაქმანი“ ძელებსაც კი ფარავს. მტკიცდელი, შემდუღებელი და საბჭოთა მეურნეობის პირველი შემკეთებელი ს. ი. კირილოვი ბევრ თავისუფალ დროს ახმარს ხის მოჩუქურთმებას.

ა. ბრაჩოვის ფოტო (საკლესის ფოტოქრონიკა).

ერთვნული ბიბლიოთეკა

სოხუმი. აფხაზეთის თამბაქოს საცდელმა სადგურმა შეიმუშავა „სამსუნის“ თამბაქოს ახალი ჯიშების მოდელები აფხაზეთისათვის და „ტრაპეზონის“ ახალი ჯიშის მოდელები აჭარისათვის.

სადგურის სელექციონერებმა საბჭოთა კავშირის თამბაქოსა და წეკოს ინსტიტუტის კოლექტივთან თანამშრომლობით შექმნეს „სამსუნის“ მთელი რიგი საუკეთესო ჯიშები.

აფხაზური „სამსუნები“ დიდად სურხელოვანია, მათზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე.

ტუნგის კოროვები

500 ჰექტარით გაფართოვდა წელს საქართველოს ტუნგის კოროვები. ახალგაზრდა ხეები ამრიალდა ზუგდიდის, ცხაკაიის, მახარაძის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

ტუნგის ნაყოფი შეიცავს ძვირფას ტექნიკურ ზეთს, რომელსაც ბადალი არა აქვს მსოფლიოში. მისგან დამზადებულ ლაქსაღებავებს ფართოდ იყენებენ გემთსაშენებელ, ტექნიკური რეზინის ნაწარმის, ჩარხსაშენებელ, საფეიქრო და მრეწველობის სხვა დარგებში. ისინი იცავენ ლითონს კოროზიისაგან, წყალშეუღწევადს ხდიან ქსოვილს, მათი წყალობით ქსოვილი წყალშეუღწევადი და მედეგი ხდება წყლისა და სითბოს დამშლელი მოქმედების მიმართ. ტუნგის ნაყოფს გვიან შემოდგომაზე კრეფენ, ამუშავებენ მას ქობულეთის სპეციალიზებულ საწარმოში. იქიდან ტექნიკური ზეთი იგზავნება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში.

მღვიმის „მეტროს“ მემილიონე მგზავრი

ახალი ათონის მღვიმე დაათვალიერა მემილიონე ტურისტმა — ქალაქ ორჯონიკიძის მცხოვრებმა ინჟინერმა ვალენტინა ტიმოფეევამ.

კომპლექსის დირექტორმა ვ. ვოუბამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ სტუმარს გადასცა მუდმივი საში ახალი ათონის მიწისქვეშა სასახლეში შესასვლელად და სუვენირი.

ერთ წელზე ცოტა მეტი გავდა მას შემდეგ, რაც მიწისქვეშა „მეტროპოლიტენმა“ ამ ზღაპრული სამეფოს თაღებქვეშ ნაყვანა პირველი მგზავრი. და აი მემილიონე სტუმარი! ბუნების უნიკალური ქმნილება საბჭოთა და საზღვარგარეთელი ტურისტების საყვარელ დასათვალიერებელ ადგილად იქცა. (საინფორმი).

მუსიკალური ოთხშაბათი

ახმეტა. (საკ. კორ.). აქ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. მოსახლეობის მუსიკალური კულტურის ამაღლებისა და განსაკუთრებით კლასიკური მუსიკის ფართო პოპულარიზაციის მიზნით დაწესდა „მუსიკალური ოთხშაბათი“, რომელიც თვეში ერთხელ ოთხშაბათობით გაიმართება.

„მუსიკალურ ოთხშაბათს“ დამსწრენი მოისმენენ კლასიკურ მუსიკას, ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მუსიკის საღამოებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იქნებიან რესპუბლიკის ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები, კომპოზიტორები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ახმეტის მუსიკალური სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

ა. თვალიაშვილი.



გუშინ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 28 გრადუსი ზუგდიდში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 24-27, მთებში 19-23 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 19-22, მთებში 18-22 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 23 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი. დაბლობ რაიონებში 24-28, მთებში 20-25 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უნალექო ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 14-19 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 23-25 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქსენია ალექსის ასული სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ასეთია არმიული ცხოვრება

□

ფაახალისმს ვაჟკაცობისათვის

კვირადღე იყო. რიგის ერთ-ერთ ქუჩაზე ჯარისკაცები მიდიოდნენ. მოულოდნელად რიგითმა ჯარისკაცმა მ. მარგიბაძემ იყვირა:

— ხანძარია! სახლი იწვის!

რიგითმა ჯარისკაცებმა ა. ორიოლმა, მ. მამედოვმა, ა. ბურდიაშვილმა, ხ. იბრაგიმოვმა ცეცხლმოდებულ სახლს მიაშურეს.

ქარს ცეცხლი მეზობელი ნაგებობებისაკენ გადაეტანა. ვიღაცამ შეშინებულმა შეხძახა:

— იქ ხომ ავადმყოფები არიან, გადაარჩინეთ!

ხ. იბრაგიმოვი და ა. ბურდიაშვილი სახლში შევარდნენ, მაგრამ კარი შიგნიდან დაკეტილი აღმოჩნდა. მეომრებმა ბევრი აღარ დაუხანეს და კარი შეამტვრიეს. ერთ-ერთ ოთახში მეომრებმა შენიშნეს მწოლიარე ავადმყოფები, რომლებსაც ბოლისაგან სული ეხუთებოდათ. ისინი უხიფათო ადგილას გაიყვანეს.

ჯარისკაცების გაბედული მოქმედებისა და უბედურების ადგილას მოსული მეხანძრეების მეთხებით ხანძარი ჩაქრეს.

შანაცობისა და საზრიანობისათვის ყველა მეომარი, ვინც კი ხანძრის დროს თავი გამოიჩინა, მეთაურმა წაახალისა.

არაფრით არ გამოირჩეოდა

რიგითი ჯარისკაცი ანატოლი კრიეანოვსკი ომ ნაწილის მეომრებს შორის, რომელშიც მაიორი ო. ლეკვეშვილი მსახურობს, ხხვებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა. თავის ამხანაგებივით კეთილსინდისიერად ასრულებდა ჯარისკაცის მოვალეობებს. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ჩინებული მაჩვენებლებისათვის მას ხანმოკლე შვებულება მისცეს და მშობლიურ მხარეში გაემგზავრა.

და აი, ნაწილის მეთაურის სახელზე მოვიდა ქალაქ თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს წერილი. წერილში ატყობინებდნენ კომკავშირელი რიგითი ა. კრიეანოვსკის კეთილშობილურ საქციელს—ჯარისკაცი საფრთხეს არ შეუშინდა და ტრამვაიში ხანძარი ჩააქრო.

ცოტა ხნის შემდეგ ნაწილში კიდევ ერთი წერილი მიიღეს. მოქალაქე ა. კლიმოვა ატყობინებდათ, რომ რიგითმა ჯარისკაცმა ა. კრიეანოვსკიმ, რომელიც შვებულებაში იმყოფებოდა, მდინარეში დახრჩობას გადაარჩინა ადამიანი.

ჯარმა დაამეგობრა

ორი წლის წინათ თადარიგის ჯარისკაცი ა. კაპანაძე შეიარაღებული ძალებიდან განთავისუფლდა. იგი ქალაქ რუსთავში დაბრუნდა და მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

უკრაინაში დარჩა კაპანაძის მეგობარი ვიტალი კაზანეცი. ყოფილ მეომრებს შორის არ წყდება მიმოწერა. კაპანაძე უკრაინელ მეგობარს ატყობინებს ხოლმე, რომ მარტენის საამქროს კოლექტივი, რომელშიც იგი შრომობს, მოწინავეა საამქროში, რომ მეფოლადენი ერთმანეთს ეჯიბრებიან დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

ახლახან ვიტალი ეწვია თავის ქართველ მეგობარს. ა. კაპანაძემ დაათვალიერებინა თავისი მშვენიერი ქალაქი, ქარხანა, გააცნო ამხანაგები.

სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ ყოფილი თანამოლეკელები, მაგრამ მიზანი ერთია — გაზარდონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერება.

(საქინფორმი).

ტუ-104 — ბედნიერი თვითმფრინავი

20 წლის წინათ — მოსკოვი-თბილისი

თვითმფრინავებს, ისევე როგორც ადამიანებს, თავისი ბედი, თავისი ბიოგრაფიები აქვთ. ტუ-104-ს ნათელი ბედი დაჰყვა, გასაოცარი. იგი გახლდათ მსოფლიოში პირველი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი. მისმა გამოჩენამ რეგულარულ ავიახაზებზე ნამდვილი რევოლუცია მოახდინა სამოქალაქო ავიაციაში. დასავლეთში ანალოგიური მანქანები რეგულარულ ხაზებზე გამოჩნდნენ: ამერიკული ბოინგ-707 და ინგლისური „კომეტა-IV“ — 1958 წლის ბოლოს, ხოლო ფრანგული კარაველა — 1959 წელს. ტუ-104 გახდა ყველაზე მეტი მსოფლიო რეკორდის მფლობელი — ოცდაექვსისა, როგორც სიჩქარის, ისე ტვირთამწეობის მხრივ.

პირველ რეისში ტუ-104 მგზავრებით 1956 წლის 15 სექტემბერს გაფრინდა მოსკოვიდან ირკუტსკში. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მოეწყო ტექნიკური რეისი თბილისამდე, ხოლო 15 ოქტომბერს ახალმა ლაინერებმა პირველი მგზავრები ჩამოიყვანეს საქართველოს დედაქალაქში. ამ ტრასაზე ტუ-104-ის ათვისების პიონერები იყვნენ ი. სამადალაშვილი — ახლა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი, ა. როტოკლია, პ. კორენოვი, ლ. ჯავანბინეაძე და სხვები.

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი იყო მოსკოვამდე ფრენა ტუ-104-მდე. მგზავრობას თითქმის ნახევარი დღე სჭირდებოდა. თვითმფრინავი რამდენჯერმე ჯდებოდა გზაში. ხშირი იყო რყევა და „უჰაერო ორმოები“. ტუ-104-ის გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა. სისწრაფე, კომფორტი და საიმედოობა — აი მისი ძირითადი თვისებები, რაც მას საშუალებას აძლევს დღესაც მწყობრში იყოს.

ამას წინათ მე მომიხდა მონაწილეობა მიმღერ თვითმფრინავის — სალიდერო ტუ-104-ის საცდელ ფრენაში. თვითეულ მანქანას გარკვეული რესურსი აქვს, ესე იგი სიმტკიცის მარაგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, თავისი ხანა. მარაგი რომ ამოიწურება, მანქანა, ისევე როგორც ადამიანი, ბერდება, მტკიცებულ არ სჭირდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ თვითმფრინავის რესურსი, რათა დროულად ჩამოიწეროს იგი „პენსიაზე.“ როცა ამ ოცი წლის წინათ ტუ-104-ის სერიული წარმოება დაიწყეს, მას რესურსად დაუწესეს ათასობით საფრენი საათი.

ომში მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ იერიშამდე პირველნი მესანგრეები მიდიოდნენ ხოლმე. ისინი ნაღმებისაგან წმენდდნენ გზას, სხვებისათვის უსაფრთხოს ხდიდნენ მას. ასევეა სალიდერო თვითმფრინავიც. ფრენის საათების, აფრენისა და დაჯდომის რიცხვით იგი გაცილებით უსწრებს დანარჩენ მუშა-მანქანებს, რომლებსაც მგზავრები გადაჰყავს, რათა პირველი მივიდეს რესურსს ზღვრამდე. აი რატომ დაფრინავს ხოლმე ლიდერი ცარიელი სავარძლებით, ხოლო წონისთვის სილით ათასობით საფრენ საათ-ვირთება. აი რატომაც გახდა საჭირო სპეციალური ნებართვა, რომ მის ქიმზე ჟურნალისტი დაეშვათ.

სალონში უკაცრიელობის განწყობილება დამეუფლა. და კიდევ ერთი თავისებურება ვნახე: მეორე ნაკვეთურში სავარძლების ნაცვლად აპარატურა იდგა. სხვა მხრივ ეს იყო ჩვეულებრივი ტუ-104. მეორე რიგში სავარძლები ჩაეკეტა ილუმინატორთან. გვერდით იყო პეტრე კურკოვი — სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი. ჩვენ ორნი და ეკიპაჟის ოთხი წევრი — აი სულ ეს იყო ასადგილიანი ლაინერის მთელი შემადგენლობა.

თანაბრად გუგუნებენ ძრავები, ეს ხელს არ გვიშლის საუბარში. მივფრინავთ ოდესაში, სადაც ლიდერის ბაზაა. ამჯერად იგი პროფილაქტიკისათვის ჩამოფრინეს მოსკოვში.

პ. კურკოვს ვეკითხები, როგორია რისკის ზღვა ლიდერზე ფრენის დროს. ხომ არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ იგი ჰაერში აფეთქდეს და დაიშალოს. იგი იცინის: „არავითარ შემთხვევაში“ და მიხსნის, რომ ლიდერი საგანგებო კონტროლზეა აყვანილი, მას მუდმივად ამოწმებენ, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ საგულდაგულოდ გაპაყავთ საქარხნო პირობებში შემოწმებაზე. გაფაციცებით ეძებენ, ხომ არ არის სადმე პაწია ბზარიც კი, ხომ არ ეტყობა რომელიმე კვანძს „დაღლა“. ამჯერად შემოწმების გარდა ლიდერის ცენტროპლანი გადაძღოდებთ აღჭურვეს. ცენტროპლანი მტკიცედ აერთებს თვითმფრინავის ფრთებს. იგი ძნელად ხელმისაწვდომია უბრალო შემოწმებისათვის და ახლა მას გადაძღოდი ადევნებდნენ თვალყურს.

1960 წლამდე მეწინავედ სხვა თვითმფრინავი დაფრინავდა. და როცა გარკვეული დროის შემდეგ ფრთებზე ბზარები გაჩნდა, იგი სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს გადასცეს. დანარჩენებს კი ფრთების ქვედა საკვამი უფრო ელასტიკური მასალით შეუცვალეს, რითაც მათი რესურსი ორჯერ და უფრო მეტად გაზარდეს. ჩამოწერილი ლაინერის გამოცდა კი ლაბორატორიულ პირობებში განაგრძეს. ასე იფრინა მან, უკვე მიწაზე, ათასობით საათი, ხოლო ჰაერში იგი იმ თვითმფრინავმა შეცვალა, რომლითაც ახლა მივფრინავთ. მანამდე მას აკურატულად დაპყავდა მგზავრები, ისეთივე მუშა-მანქანა იყო, როგორც ყველა დანარჩენი ტუ-ფრენის საათებიც იმდენივე ჰქონდა, რამდენიც სხვას. როცა ლიდერი გახდა, სწრაფად დაიწყო წინსვლა — მეწინავე უნდა ფრინავდეს დღითაც და ღამითაც, დღეღამეში ათ გაფრენას მაინც ასწრებდეს.

ასე და ამგვარად, ნაბიჯ-ნაბიჯ, იცდებოდა ერთი კვანძი, იცვლებოდა მეორე, ლიდერის საშუალებით გამუდმებით ისინჯებოდა კონსტრუქციის სიმტკიცე, და ტუპოლეველებმა იერიფლოტის მუშაკებთან ერთად დამაჯერებლად გაახანგრძლივეს რეაქტიული პირმშოს სიცოცხლე, თანაც ეს ოთახშიც ალბათ ფერწერული ტილოები, გრაფიკული, კერამიკული ნამუშევრები, ჭედურობის, ხეზე კვეთილობის ნიმუშები, ქართული ხალიჩები.

ცალკეა ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა. აქ წარმოდგენილია მხატვრის როგორც ადრინდელი, ოციანი წლების დასაწყისის, ისე მომდევნო ხანისა და წლევანდელი, სულ 70 ნამუშევარი.

აღსანიშნავია, რომ ეს არის მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ჩვენი რესპუბლიკის უკეთ ჯაცნობის მიზნით, ციურიხში მოეწყო ქართული წიგნის გამოფენა.

ცალკეა საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის გამოფენა, სადაც ფართოდ ნაჩვენებია ჩვენი სახელგანთქმული ღვინოები, კონიაკები, ჩაი, კონსერვები, მურაბები. ექსპონირებულია აგრეთვე ქართველ ბავშვთა ნახატები.

შვედი მაყურებლები ნახავენ საუკეთესო ქართულ დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს. კერძოდ „ხევსურეთს“, „საქართველოს საესტრადო სიმღერებს“, „ერთი დღე ბაკურიანში“, „გამარჯობა, საქართველო“ და სხვ.

გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლები მოისმენენ ქართულ ხალხურ და კლასიკურ მუსიკას, რისთვისაც შვეიცარიაში დიდი რაოდენობით გავგზავნეთ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისა და ხალხური მუსიკის გრამფირფიტები.

— ესკილსტუნას გარდა საქართველოს დღეები შვეიცის კიდევ რომელ ქალაქში გაიმართება?

— წინასწარი საორგანიზაციო გეგმის თანახმად, საქართველოს კულტურის დღეები ესკილსტუნაში 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება. შემდეგ ქ. უმეოში გადაინაცვლებს. აქ 5 ნოემბერს მოეწყობა კულტურის დღეების საზეიმო გახსნა და 27 ნოემბრამდე გასტანს.

საქართველოს დღეები განსაკუთრებით ფართოდ შვეიცის დედაქალაქ სტოკჰოლმში აღინიშნება. აქ 4 დეკემბერს გაიმართა საზეიმო ჯახნას დაესწრება ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი ოფიციალური დელეგაცია.

საქართველოს კულტურის დღეებში შვედებს ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს გააცნობენ ქუთაისის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქუთაისი“, საბოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეთქმოქმედი ანსამბლი „გორდა“ და ფაფა ვოკალური ანსამბლი „ციისფერი ტრიო“.

17 ოქტომბერს სტოკჰოლმში, სამეფო თეატრში გაიმართება ქართული სიმღერისა და ცეკვის პირველი კონცერტი, შემდეგ ანსამბლები ორ ჯგუფად გაიყოფიან და კონცერტებს გამართავენ შვეიცის 60 ქალაქში.

28 დეკემბერს სტოკჰოლმში მოეწყობა საქართველოს დღეების საზეიმო დახურვა.

გუშინ საქართველოს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები შვეიციაში ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრნენ, საიდანაც ხვალ, 16 ოქტომბერს სტოკჰოლმში მიემგზავრებიან.

ლ. ხუბულური.



იწყება მეორე ნახევარი

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. დღევანდელი მეცხრე ტურით იწყება შეჯიბრების მეორე გადამწყვეტი ნახევარი.

როგორია მონაწილეთა მდგომარეობა ამ გადამწყვეტი შეხვედრების წინ.

პირველ-მეორე ადგილებს 5,5 ქულითა და თითო ვადადებული პარტიით ინაწილებენ ლ. ზაიცევი და ლ. სემიონოვა. 5,5 ქულით მესამე ადგილზეა ა. ახშარუმოვი, რომელმაც რვაგე შეხვედრა დაამთავრა. 5 ქულით მეოთხე ადგილზეა ნ. ალექსანდრია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი სრულიად უკომპრომისოდ თამაშობს — 5 პარტია მოიგო და 3 წააგო. 4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილსა და ე. ეპშტეინს. გადადებულ პარტიაში ლ. საუნინასთან მსოფლიოს ჩემპიონს ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს. 4,5 ქულა მოაგროვეს ი. ლევიტინამ, ტ. ზატულოვსკაიამ და ნ. გურიელმა. გურიელის წინაშე კონკრეტული ამოცანა დგას — დარჩენილ პარტიებში კიდევ 4,5 ქულა მოაგროვოს, რადგან 9 ქულა ოსტატის ნორმას უდრის. 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ც. კახაბრიშვილს, რომელიც აგრეთვე ოსტატის წოდებისათვის იბრძვის. 3,5 ქულა აქვთ მ. ჩიბურდანიძესა და ნ. იოსელიანს, 3 ქულა და 2 გადადებული პარტია — ლ. საუნინას, 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია — ლ. მულენკოს, 2,5 ქულა ლ. ბელავენეცსა და ა. კისლოვას, 2 ქულა — ტ. ჟიგაევას და 1 ქულა — ტ. ფომინას.

8 ტურის შემდეგ ფომინა ერთადერთია, რომელსაც ჯერ არცერთხელ არ მოუგია.

დღევანდელი მეცხრე ტური მეტად საინტერესო უნდა იყოს. მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი შავებით ეთამაშება ერთ-ერთ ლიდერს ლ. ზაიცევს. ამ შეხვედრის შედეგზე ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული. მეორე ლიდერი ლ. სემიონოვა შავებით ხვდება ი. ლევიტინას, რომელიც რა თქმა უნდა, თვით აცხადებს პრეტენზიას საპრიზო ადგილზე. კიდევ ერთი ლიდერი — ა. ახშარუმოვა შავებით ეთამაშება მ. ჩიბურდანიძეს, ხოლო ნ. ალექსანდრია — ამავე ფერის ფიგურებით — ნ. იოსელიანს. ნ. გურიელი თეთრებით ხვდება ა. კისლოვას.

ერთი სიტყვით, შეჯიბრებაში გადამწყვეტი ფაზა იწყება.

გ. გამრეკელი.

ჭიდაობა

მეხვავე ბრძოლაში

უპრარამა მაყურებელმა მოიყარა თავი თბილისის სპორტის სასახლეში. დიდ ინტერესს იწვევდა კლასიკური ჭიდაობაში სსრ კავშირის თასის მფლობელის რსფსრ-ის გუნდისა და ამ ჯილდოს 1973 წლის პრიზიორის საქართველოს სპორტსმენთა შეხვედრა. ეს გუნდები შეჯიბრების ფავორიტები არიან და მათი შერკინების შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — გამარჯვებული რეალურ პრეტენზიას აცხადებდა თასის მოპოვებაზე.

საჭიდაო ხალიჩაზე შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა.

ანგარიშში სხვაობა თანდათან იზრდებოდა რსფსრ-ს გუნდის სასარგებლოდ.

თუ საქართველოს მოზრდილთა გუნდი დამარცხდა ანგარიშით 12:25, სამაგიეროდ საჭადაო ხალიჩებზე მეტოქეებს შეუტიეს ქართველმა იუნიორებმა — ვაჟა ბაგაევმა, თენგიზ ხატიაშვილმა, ამირან მაცაბერიძემ, რაიდი აბრამიშვილმა, ედიშერ მაჩაიძემ, ზაალ კუბისიძემ, მალხაზ ლეკვაევმა, კონსტანტინე ნინიძემ. მათმა ოსტატობამ, შეუპოვრობამ ჩვენს გუნდს საერთო ანგარიშით 42:33 გაამარჯვებინა.

მოსკოვისა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრაში ანგარიშით 51:27 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

სურათზე: ცოტაც და საქართველოს იუნიორთა გუნდის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი კონსტანტინე ნინიძე ბეჭებზე დაესცემს რსფსრ-ის გუნდის წევრ ალექსანდრე კომაროვს.

ი. იუნაევის ფოტო.



ტელევიზია

15 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „წიგნი შენს ცხოვრებაში“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი“ მეოთხე სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — პირველად ჩვენს ეკრანზე. დოკუმენტური ფილმი „დიალოგი გრძელდება“, 17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.35 — კინოპროგრამა, 18.40 — განცხადებები, 18.45 — აგიტატორი მინდერად, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (მინსკი), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — მღერის მაყვალა ქასრაშვილი. ფერადი გამოსახულებით, 21.55 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე“, 22.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფ